ცოდვის შვილები
A3

საცოდავი შიში
A5

"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები
A8

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი პარასკევი, 23 სექტემბერი, 2005 წელი. №212 (1072) ფასი 50 თეთრი

ამბები

რატომ დააკავეს ჩეჩნეთის მოქალაქეები

ერთი თვის წინ თბილისში ჩეჩნეთის ორი მოქალაქე დააკავეს. მათ, ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე, საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან გადმოკვეთეს და, როგორც თავად ამბობენ, დევნილები არიან. ამჟამად ერთ-ერთი მათგანი დაპატიმრებულია, მეორეს კი საქართველოს ტერიტორია რამდენიმე დღის წინ დაატოვებინეს.

A2

ამბები

უკრაინას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს

უზენაესმა რადამ იური ეხანუროვი უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე განმეორებითი კენჭისყრის შემდეგ დაამტკიცა. 20 სექტემბერს მთავრობის მეთაურის პოსტზე დასამტკიცებლად მას სამი ხმა არ ეყო.
მის კანდიდატურას 338-დან 289 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, იმ დროს, როცა გადაწყვეტილების მისაღებად 226 ხმაც საკმარისი იყო.

A2

ამბები

"გაგვიბრაზდა" თუ არა "გაზპრომი"?

"გაზპრომის" სათაო ოფისში ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ გამართული წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ რუსული ენერგოგიგანტი საუბრის ტონს ამკაცრებს. საუბარი, როგორც წესი, გაზის მოწოდების შეწყვეტა-განახევრების ენაზე მიმდინარეობს.

A4

საერთაშორისო იურიდიული ოფისი "გაპი" სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლოში კლიენტთა ინტერესების დაცვას ახორციელებს თავისი წარმომადგენლით საფრანგეთში.

ამინდი

	23/09	24 /09
თბილისი	30	28
ტყიბული	28	28
სოხუმი	29	28
დმანისი	25	24
გორი	25	24
ონი	22	21
ზუგდიდი	32	31
ახმეტა	29	28
გაბარა	26	25
სამტრედია	31	30

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	1.7950
ევრო	2.1931
ბირვანქა სტერლ.	3.2472
რუბლი	0.0632

ამბები	A 2
ამბები	A 3
ამბები	A 4
რევიუ	A 5
სპორტი	A 6
TV პროგრამა	A 7
სხვადასხვა	A 8

ნალმებისა და ბრალდებების ომი

სამშვიდობო პროცესი ეჭვქვეშ დადგა

ნინო გომართელი

ხმამაღალი განცხადებებისა და ურთიერთბრალდებებით დატვირთული დღის დასასრულს, 21 სექტემბერს, დაახლოებით 22:50 წუთზე, დიდი ლიახვის ხეობის მორიგი დაბომბვა დაიწყო. ამჯერად მიზანში ქართული სოფლები იყო. აჩაბეთსა და კეხვს ნაღმტყორცნებიდან ცეცხლი გაუხსნეს. 120-მილიმეტრიანი ჭურვები ზემო და ქვემო აჩაბეთის მიმდებარე ტერიტორიაზე აფეთქდა. ინციდენტს, საბედნიეროდ, მსხვერპლი არ მოჰყოლია. ადგილობრივი ძალოვნები შემთხვევის ადგილებს მთელი ღამის განმავლობაში ათვალიერებდნენ. აფეთქებების ადგილზე იყვნენ, ასევე, ცხინვალში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების რუსი დამკვირვებლები და კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული ეუთო-ს დამკვირვებლები.
მოსკოვმა თბილისში სასწრაფოდ აფრინა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი კენიაკინი - "კონფლიქტის ზონაში განვითარებული მოვლენების შემდეგ რუსეთის მონაწილეობით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის გადასარჩენად."

გაგრძელება A3 გვერდზე

მოსკოვმა თბილისში სასწრაფოდ აფრინა საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი.

ოპტიმისტი უსუფაშვილი და რეალისტი ხმალაძე

ხელისუფლებას "ერთ ხმაში" აკრიტიკებენ

გიორგი ასანიშვილი

"რესპუბლიკელები" დღევანდელი ხელისუფლების "სიამაყეს" - გაზრდილ სახელმწიფო ბიუჯეტს "შეურაცხყოფენ". მეტიც, ისინი უმაღლესი სახელისუფლებო ეშელონების მისამართით სერიოზული ბრალდებებით გამოდიან: დავით უსუფაშვილი და მისი თანაპარტიელები აცხადებენ, რომ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი უხეშად არღვევენ საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის საკანონმდებლო ნორმებს. "რესპუბლიკელები" არ გამორიცხავენ, რომ კონკრეტული თანამდებობის პირების მიმართ პარლამენტში იმპიჩმენტის პროცესი დაიწყონ.

გაგრძელება A3 გვერდზე

"რესპუბლიკური პარტია" მთავრობისგან და შესაბამისი თანამდებობის პირებისგან კითხვებზე პასუხს ითხოვს.

ირაკლი ლეონიძის ფოტო

ტექასის შტატი "რიტას" მოლოდინში

მეტეოროლოგებმა ქარიშხალ "რიტას" საფრთხის მეხუთე, უმაღლესი კატეგორია მიანიჭეს საფირ-სიმპსონის სკალით. ქარიშხლის ეპიცენტრში ქარის სიჩქარე საათში უკვე 265 კმ-ს აღწევს.

ამჟამად ქარიშხალი მექსიკის ყურიდან აშშ-ს სამხრეთ სანაპიროსკენ მიემართება. "რიტა" ტექასის შტატს, სავარაუდოდ, შაბათს, დილით მიაღწევს. შტატი უკვე დატოვა 1 მილიონ მოსახლეზე მეტმა. ქალაქ ჰიუსტონისა და ტექასის შტატის სანაპიროზე მდებარე სხვა ქალაქების, ასევე - ლუიზიანის შტატის ხელისუფლება ყველა ღონეს ხმარობს, მაქსიმალურად მოკლე ვადებში შეძლოს მოსახლეობის ევაკუაცია. გასახიზნთა შორისაა ახალი ორლეანის ათასობით ლტოლვილიც, რომლებმაც, ქარიშხალ "კატრინას" გამო, სამი კვირის წინ ჰიუსტონსა და სამხრეთ ტექასის სხვა ქალაქებს შეაფარეს თავი.

ქარიშხალი "რიტა" პირველად ტექასის სანაპიროსთან კუნძულზე მდებარე დაბა გალვესტონს დაატყდა თავს. 1900 წელს გალვესტონს აშშ-ს ისტორიაში ყველაზე ძლიერმა ქარიშხალმა გადაუარა, რამაც 8 ათასი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ადგილობრივი საინფორმაციო წყაროების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, სამაშველო ბრიგადებს "რიტას" მიახლოებასთან დაკავშირებით ტექასის, თითქმის, მთელი სანაპიროდან, პირველ რიგში, სოციალურად გაჭირვებული ოჯახები, ინვალიდები და მოხუცები ავტობუსებით გამოჰყავთ. ხელისუფლება მათთვის სასმელი წყლის, ყინულისა და საკვები პროდუქტების მარაგის შექმნას უზრუნველყოფს.

აშშ-ს პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა ტექასსა და ლუიზიანაში საგანგებო მდგომარეობა ჯერ კიდევ ორი დღის წინ გამოაცხადა.

"ჩვენ იმედი გვაქვს და ვლოცულობთ, რომ ქარიშხალ "რიტას" დიდი ოდენობით მსხვერპლი არ მოჰყვეს, მაგრამ მზად უნდა ვიყოთ ნებისმიერი ვითარებისათვის," - განაცხადა ბუშმა.

ქვეყნის ისტორია ქარიშხლების რეკორდული მაჩვენებლით 1933 წელს გამოირჩეოდა, როდესაც აშშ-ს სანაპიროს 21 ქარიშხალი დაატყდა თავს.

უკრაინული სამხედრო ტექნიკა სკანდალის თემა ხდება

უკრაინიდან 6 თვის შესყიდული მძიმე საბრძოლო ტექნიკა, დაახლოებით 40 ერთეული ჯავშანმანქანა, რომლითაც საქართველოს მთავრობა ძალზე ამაყობდა, ბოლოდროინდელ მანევრებზე მწყობრიდან გამოვიდა. პრესაში ამ ინფორმაციის გაჟონვამ სამთავრობო წრეებში დიდი აურზაური გამოიწვია, რაც იმით დამთავრდა, რომ სამხედრო პოლიციამ გუშინ დააკავა გენერალური შტაბის ლოგისტიკის დეპარატმენტის ყოფილი უფროსი და რამდენიმე მაღალჩინოსანი.

კობა ლიკლიკაძე
"რადიო თავისუფლება", სპეციალურად "24 საათისათვის".

40-მდე ერთეული ბმპ-2 ტიპის ჯავშანმანქანა საქართველოში გასული წლის ბოლოს, საიდუმლოდ შემოიტანეს. ამის შემდეგ ტექნიკა აქტიურად ჩანდა სხვადასხვა სახის მანევრებზე და მარშებზე, მათ იღებდნენ სარეკლამო რგოლებში. მაგრამ, სულ რამდენიმე თვის წინ სამცხე-ჯავახეთში, "ორფოლოს" პოლიგონზე ჩატარებული ფართომასშტაბიანი ჯავშანსატანკო სწავლებების დროს ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მწყობრიდან გამოვიდა. მიზეზების დადგენა კი ახლად შექმნილ სამხედრო პოლიციას დაევალა, რომელმაც დამნაშავე ყოფილი თავდაცვის მინისტრის გუნდში აღმოაჩინა. სამხედრო პოლიციის შენობაში მისულ ლოგისტიკის სამმართველოს ყოფილ უფროსს, პოლკოვნიკ მამუკა ლომსაძეს სამხედრო პროკურატურა დაპატიმრების სანქციით დახვდა. სანამ ბორკილებს დაადებდნენ, ლომსაძე დაგვიკავშირდა და გვითხრა, რომ ტექნიკა შესყიდვის დროს ვარგისი იყო, რაც შესაბამისი აქტებითაც დასტურდება.

"მაგრამ, ამის გაგონება არავის სურს. უბრალოდ, არის ვიღაცების ჩვენება, ვითომ ტექნიკა გაფუჭებული იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ყველაფერი აქტებით გადაცემული იყო. ახლა კი აბრალებენ კომისიას. ამ კომისიამ, სხვათა შორის, ამ "ბე-ემ-პე"-ების (საბრძოლო მანქანების) გარდა მიიღო "ბე-ტე-ერ"-ები (ჯავშანატრანსპორტიორი.-რედ), ტანკებიც, თვითმავალი არტილერია, რომელზეც პრეტენზიები არ ჰქონდათ. ახლა კი გამოჩნდა, რომ უვარგისი ყოფილა მაინცდამაინც "მე-ემ-პე"-ები."

გაგრძელება A2 გვერდზე

ტრაგედია "მერვე პოლკში"

საბჭოთა შენობებმა ნგრევა დაიწყო, მერია თანხებსა და ინვესტორებს ეძებს

გუშინ, დილის 9 საათისთვის, მერვე ლეგიონის დასახლებაში, ონაშვილის ქუჩის 9 ნომერში მდებარე ხუთსართულიანი სახლის ერთი ნაწილი მთლიანად ჩამოინგრა. ნგრევის შედეგად დაიღუპა ორი ადამიანი - 42 წლის ქეთევან ბოკუჩავა-ნადარეიშვილი და 50 წელს მიღწეული ეკატერინე კოშელოვი. 32 წლის თემურ მარჯანიძე საავადმყოფოშია გადაყვანილი. ექიმების თქმით, დაშავებულის მდგომარეობა კრიტიკულია. ისანი-სამგორის გამგეობამ გუშინ უსახლკაროდ დარჩენილ 17 ოჯახს დროებითი თავშესაფარი მოუძებნა. შემთხვევის ადგილზე მისული იყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი, ქალაქის მერი გიგი უგულავა, პრემიერი თემურ ქურხული და ისანი-სამგორის გამგებელი გიორგი ქორქაშვილი.

თამარ დვალი

ონაშვილის 9 ნომერში მდებარე ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი მეოცე საუკუნის 60-იან წლებშია აშენებული. მისი ექსპლუატაციის ვადა ჯერ კიდევ 80-იან წლებში გავიდა, თუმცა მოსახლეობის გამოსახლება დღემდე არ განხორციელებულა. რამდენიმე წლის წინ მომხდარი მიწისძვრის შემდეგ კორპუსის გამაგრება მოხდა. თუმცა, როგორც მოსახლეობა აცხადებს, ბინა იმდენად ავარიული იყო, რომ შეკეთებას არ ექვემდებარებოდა. 2002 წელს, ექსპერტების შეფასებით, სახლი მესამე კატეგორიას განეკუთვნებოდა და მისი ევაკუირება უნდა მომხდარიყო.

"2002 წლიდან მოყოლებული, ყურადღებას ვითხოვთ, თუმცა, უშედეგოდ. მერიაში მისულები ასეთი პასუხით გამოგვისტუმრეს: ჩვენ გაძლევთ გარანტიას, რომ ეს კორპუსი არ დაინგრევაო. დღეს ვინ აგებს ამაზე პასუხს?" - კითხულობდნენ გუშინ უსახლკაროდ დარჩენილი, ონაშვილის 9 ნომერში მცხოვრებლები.

გაგრძელება A4 გვერდზე

კურსანტები "კონცეპტუალურ დავას" შეეწირნენ

საკონტრაქტო სამსახური სამხედრო აკადემიაში სწავლის სანაცვლოდ

თეონა ბოლქვაძე

თავდაცვის ეროვნული (სამხედრო) აკადემიის რეფორმა ვნებათაღელვის პირობებში იწყება. ჯერ კიდევ დავით თევზაძის მინისტრობის დროს, თურქული და ბრიტანული ვარიანტების მომხრეებს შორის დაწყებული ჭიდილი ამ უკანასკნელთა გამარჯვებით დამთავრდა. სამაგიეროდ, ერთდროულად რამდენიმე პრობლემამ იჩინა თავი, რომელზეც დაუფარავად საუბრობენ ექსპერტები, სხვა კომპეტენტური პირები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები. უპირველესი პრობლემა სახელმწიფოს მხრიდან თავისი მოქალაქეების, ამ შემთხვევაში, აკადემიის კურსანტებისადმი უკანონო ქმედებასა და უპასუხისმგებლო დამოკიდებულებაში გამოიხატება. მეორე პრობლემა უშუალოდ თავდაცვის სამინისტროს მმართველობის მიერ გადაწყვეტილების მიღების მექანიზმს უკავშირდება. კერძოდ, კითხვა ასე ისმის - როგორ, რა პრინციპებიდან გამომდინარე ხდება გადაწყვეტილების მიღება? პასუხის არარსებობის გამო, დღეს საზოგადოებისთვის უცნობია, თავდაცვის უწყების მესვეურებმა ეს გადაწყვეტილება კონცეპტუალური მსჯელობის შემდეგ მიიღეს, თუ, უბრალოდ, თავდაცვის მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილის ძალაუფლებამ სძლია რამდენიმე თვის წინ უცნაური ფორმით მოხსნილი აკადემიის რექტორის პოზიციას და შეხედულებებს?

გაგრძელება A2 გვერდზე

რატომ დააკავეს ჩეჩნეთის მოქალაქეები

ერთი თვის წინ თბილისში ჩეჩნეთის ორი მოქალაქე დააკავეს. მათ, ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე, საქართველოს საზღვარი აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან გადმოკვეთეს და, როგორც თავად ამბობენ, დევნილები არიან. ამჟამად ერთ-ერთი მათგანი დაპატიმრებულია, მეორეს კი საქართველოს ტერიტორია რამდენიმე დღის წინ დაატოვებინეს. როგორც საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთისთვის დაკავებულმა ჩვენთან საუბრისას განაცხადა, მისი და მისი მეგობრის დაკავება კანონის დარღვევით მოხდა; მეტიც, სამართალდამცველებმა მათზე ფიზიკური ზეწოლა მოახდინეს. ჩეჩნების თქმით, სპეცოპერაციის დროს ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა იმ საცხოვრებელი ბინიდან, სადაც ისინი დროებით იმყოფებოდნენ, საოჯახო ნივთები გაიტანეს; ასევე, ჩამოართვეს და დღემდე არ დაუბრუნებიათ ის ავტომობილი, რომლითაც ისინი დედაქალაქში მოძრაობდნენ.

ზვიად რუაძე
შორენა ხანგოშვილი

დაკავებული ჩეჩნების თქმით, მათ აზერბაიჯანის რესპუბლიკის დატოვება გადაწყვიტეს, რადგან იქ ცხოვრება გაუჭირდათ. საზღვრის გადმოკვეთა კი ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე მოახერხეს. ჩეჩნებს საქართველოში გადმოსვლის სურვილი მას შემდეგ გაუჩნდათ, რაც მათთავის ცნობილი გახდა, რომ აქ არასამთავრობო ორგანიზაციები დევნილებს აქტიურად ეხმარებიან. აღსანიშნავია, რომ საქართველოში მცხოვრებ ქისტებს ლტოლვილი ჩეჩნები დახმარებისთვის ხშირად მიმართავდნენ. ნათესავის ბადრი გუმაშვილის და პანკისში მცხოვრები დევნილის ბაგაუდინ ხანგოევის დახმარებით, ჩეჩნებმა თბილისში ბინა იქირავეს.

ახლობლებისთვის დახმარების გაწევა ბადრი გუმაშვილსა და ბაგაუდინ ხანგოევს ძვირი დაუჯდათ. მათი თქმით, ისინი ახლობლებთან ერთად ავტომანქანით მოძრაობდნენ, როცა რამდენიმე უცხოური მარკის ავტომანქანა წინ გადაუდგათ.

"ის-ის იყო, ავტომობილიდან გადმოსვლა დავაპირეთ, რომ უცებ სპეცრაზმელების შვიდმა მანქანამ ალყაში მოგვაქცია, პირდაპირ მიწაზე გადმოგვყარეს და თავში კონდახებით დაგვიწყეს ცემა. ვერ მივხვდით, რა ხდებოდა. მე სხვა მანქანაში ჩამსვეს და მიმიყვანეს ანტიტერორისტული ცენტრის შენობაში. ყოველგვარი ახსნის გარეშე, უმოწყალოდ მირტყამდნენ. ვეკითხებოდი, რატომ დაგვაპატიმრეს და რა ხდებოდა, ისინი კი დამყვიროდნენ და მაგინებდნენ. შემდეგ დამკითხეს, თუ სად ვიყავი, სად ვსწავლობ, რას ვსაქმიანობ და ა.შ. მეორე დღეს, დილის ხუთ საათზე გამოგვიშვეს. მოგვიანებით გავიგე, რომ თურმე ჩვენი ახლობელი ჩეჩნები დააპატიმრეს," - იხსენებს ბაგაუდინ ხანგოევი.

ბაგაუდინ ხანგოევმა ჩვენთან საუბრისას ისიც განაცხადა, რომ ანტიტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა მათ მანქანა, ტელეფონები, საბუთები და მაჯის საათი ჩამოართვეს და ეს ნივთები დღემდე უკან არ დაუბრუნებიათ.

"საათის შესახებ მითხრეს, - დაიკარგაო, მანქანა და ჩვენი საბუთები დღემდე არ მოუციათ," - ამბობს იგი.

იმავე დღეს სპეცოპერაცია ანტიტერორისტულმა სამსახურმა ჩეჩნების მიერ ნაქირავებ ბინაშიც ჩაატარა. ის ადამიანები, ვისი დაკავებაც სამართალდამცველებს სურდათ, მათ შინ დახვდნენ.

აზერბაიჯანიდან გადმოსულმა ასლან მალსაგოვმა სატელეფონო საუბრისას გვიამბო: **"სახლში ოცამდე შეიარაღებული ნიღბიანი შემოვარდა და ახსნა-განმატების გარეშე ხელბორკილი დამადეს, ფიზიკური შეურაცხყოფა მომაყენეს, მოგვიანებით კი სახლში დაბრუნებული ჩემი მეგობარიც დააპატიმრეს,"**

მალსაგოვი იმასაც აღნიშნავს, რომ ანტიტერორისტული სამსახურის სპეცრაზმელებმა მას იმის გამო სცემეს, რომ მან საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროში რეგისტრაციის გავლა მოასწრო. მიუხედავად ამისა, მალსაგოვი საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარზე - წითელ ხიდთან გადაიყვანეს და მთელი ერთი თვის განმავლობაში ამ საზღვარზე იმყოფებოდა.

მისი ახლობლების თქმით: **"ასლანი სასტიკად ნაცემია, ჩამტვრეული აქვს ნეკნები, პრობლემები აქვს ფილტვებთან დაკავშირებით. საქართველოში დღეს სასტიკი განუკითხაობაა. ასეთი სიძულვილი სად გაგონილა, როგორ შეიძლება ნებისმიერ ჩეჩენს ტერორისტი უწოდო და გაანადგურო?"** - ამბობენ მალსაგოვის ახლობლები.

როგორც ჩეჩნების ახლობლები ამბობენ, სპეცოპერაციის შემდეგ ნაქირავებ ბინაში მისულებმა აღმოაჩინეს, რომ ბინიდან ტელევიზორი და სხვა ფასიანი ნივთები იყო დაკარგული. მათივე თქმით, ეს ნივთები "ანტიტერორისტული" ოპერაციის დროს სპეცრაზმელებმა ხელს გააყოლეს. ასლან მალსაგოვის ჩეჩენ მეგობარს კი უკვე წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდეს. მის უფლებებს ადამინის უფლებათა დამცველი ორგანიზაცია "ნდობა" იცავს.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით "24 საათი" შეეცადა, ანტიტერორისტული სამსახურის ხელმძღვანელის ირაკლი კოღუას კომენტარი ჩაეწერა, მაგრამ მან შინაგან საქმეთა სამინიტროს პრესცენტრთან შეუთანხმებლად ჩვენთან საუბარი არ ისურვა. პრესცენტრის ხელმძღვანელმა გურამ დონაძემ კი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც კომენტარზე უარი განაცხადა.

უკრაინული სამხედრო ტექნიკა სკანდალის თემა ხდება

ჰირველი გვერდიდან

ჩვენ შევეცადეთ, გადაგვემოწმებინა უკრაინის თავდაცვის სამინისტროში, თუ რა ვითარებაში იყო ქვეითთა საბრძოლო მანქანები შემოტანის დროს, მაგრამ კონკრეტული ინფორმაციის მიღება ვერ მოვახერხეთ. უკრაინის სამხედრო უწყებასთან დაახლოებულმა წყარომ კი გვითხრა, რომ უკრაინა ყოველთვის **"პირნათლად ასრულებდა სამხედრო ვალდებულებებს ქართველ კოლეგებთან და მით უფრო, ვერავინ გაბედავდა საქართველოსათვის უვარგისი იარაღი მიეყოდათ "ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგო".**

ფაქტია ისიც, რომ აღნიშნული ტექნიკა ხშირად გამოიყენებოდა სამხედრო წვრთნებზე. ბოლოს საბრძოლო ქვეითი მანქანები ორი თვის წინ, ფართომასშტაბიან სატანკო მანევრებზე "ორფოლოს" პოლიგონზე მონაწილეობდნენ. სწავლებას მაშინ საქართველოს სამხედრო ხელმძღვანელობამ საუკეთესო უწოდა სამხედრო ძალების ისტორიაში და ეკიპაჟების მოქმედება "ფრიადზე" შეაფასა. საკითხავია, თუკი ტექნიკა მწყობრიდან იყო გამოსული , მაშინ როგორღა იყო სწავლება წარმატებული? თანაც, პოლკოვნიკი მამუკა ლომსაძე თანამდებობაზე თებერვლიდან აღარ იმყოფება და თუ ტექნიკა თავიდანვე უვარგისი იყო, რატომ აქამდე არაფერი თქვეს სამხედრო ნაწილის მეთაურებმა? ვთქვათ, მათ რომ უცერად საბრძოლო ამოცანა მიეღოთ, როგორ შეასრულებდნენ დავალებას უვარგისი ტექნიკით ან რითი გაიმართლებდნენ თავს ოპერაციის წარუმატებლობის შემთხვევაში? სხვათა შორის, 3 წლის წინ ვაზიანის მე-11 სამხედრო ბრიგადაში იყო შემთხვევა, როდესაც ტანკებიდან დაიკარგა რადიოსადგურები და სატანკო ტყვიამფრქვევები (ამის შესახებ "24 საათმა" მაშინ პირველმა მოიპოვა ინფორმაცია), ხოლო სამხედრო ნაწილის მეთაურებმა ეს დიდი დაგვიანებით, სამხედრო დაზვერვის მიერ ნაწილის შემოწმების შემდეგ აღმოაჩინეს.

მამუკა ლომსაძის სახლში გუშინ სამხედრო პოლიციამ და პროკურატურამ ჩხრეკა ჩაატარა (ლომსაძის დაკავებას უშუალოდ ხელმძღვანელობდა პოლკოვნიკი ალეკო სუხიტაშვილი, რომელიც შინაგან საქმეთა მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა კონტრაბანდის საკნდალის გამო გაათავისუფლა შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსობიდან. მაგრამ რამდენიმე ხნის წინ, თავდაცვის სამინისტროში სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ დაინიშნა.). მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში კი შეტანილია სარჩელი, ლოგისტიკის სამმართველოს ყოფილი უფროსისთვის სამთვიანი წინასწარი პატიმრობის შეფარდების შესახებ. გამოძიება მას სახელმწიფოსათვის უვარგისი სამხედრო ტექნიკის შემოტანას და სახელმიფოსათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენებას ედავება.

პოლკოვნიკი მამუკა ლომსაძე, რომელიც მინისტრმა ოქრუაშვილმა თანამდებობიდან თებერვალში გადაყენა, თავს დამნაშავედ არ ცნობს და ირწმუნება, რომ სასამართლოში შეძლებს დაამტკიცოს, რომ ქვეითთა საბრძოლო მანქანები თავდაცვის სამინისტროს ახალი ხელმძღვანელობის დროს, არასწორი ექსპლუატაციის გამო გამოვიდა მწყობრიდან.

სალომე ზურაბიშვილი საქართველოს შიდაკონფლიქტების დარეგულირებაში გაეროს უფრო გააქტიურებას სთხოვს

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი საქართველოს შიდაკონფლიქტების დარეგულირებაში გაეროს უფრო გააქტიურებას სთხოვს.

გაეროს გენერალური ასამბლეის მე-60 სესიის გენერალურ დებატებზე ზურაბიშვილმა საგანგებო ყურადღება გაამახვილა ადამიანის უფლებათა საბჭოს ჩამოყალიბებასა და ადამიანის უფლებათა კომისიის ოფისის გაძლიერებაზე.

ზურაბიშვილის განცხადებით, აღნიშნული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისა და ტრანსფორმაციის შესახებ გადაწყვეტილება უდაოდ წინ გადადგმული ნაბიჯია გაეროს წინაშე მდგარ ამოცანათა, მათ შორის გაყინულ კონფლიქტთა დასარეგულირებლად.

გაეროს მე-60 სესიის პლენარული სხდომის პარალელურად საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა შეხვედრები გამართა შვედეთის, ლატვიის, აზერბაიჯანის, რუმინეთის, ბულგარეთის, ლიტვის და ესტონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებთან. მონაწილეობა მიიღო სუვის წევრი სახელმწიფოების მინისტერიალში. **ინტერპრესნიუსი**

ზურაბ ნოღაიდელს კოკოითთან შეხვედრა სურს

პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი აცხადებს, რომ საქართველოს ხელისუფლება ყველა ძალას მიმართავს, რათა უახლოეს მომავალში მასსა და ცხინვალის სეპარატისტული ხელისუფლების ხელმძღვანელს, ედუარდ კოკოითს შორის შეხვედრა გაიმართოს.

ნოღაიდელის თქმით, აღნიშნული შეხვედრა ადრე რომ გამართულიყო, ცხინვალში 20-21 სექტემბრის ინციდენტები არ მოხდებოდა. **მედიანიუსი**

ვაზიანში "მედქერი-რესქუერი" საზეიმო ვითარებაში დაიხურა

ვაზიანის სამხედრო ნაწილის ტერიტორიაზე, გუშინ, ნატო-ს "პარტნიორობა მშვიდობის პროგრამის" ფარგლებში, 12 დღის განმავლობაში მიმდინარე მრავალეროვნული სამხედრო სწავლებები "მედქერი-რესქუერი" საზეიმო ვითარებაში დაიხურა.

ცერემონიას საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი დაესწრო. წვრთნებში ნატო-ს წევრი და პარტნიორი 14 ქვეყნის 1000-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა.

პროგრამა ვაზიანსა და ჩაქვში ხორციელდებოდა. პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სახის სწავლებები ჩატარდა. მათ შორის, პირადი შემადგენლობის კრიზისულ ვითარებაში მოქმედება, სამხედრო სამედიცინო ოპერაციების ჩატარება, მყვინთავების მომზადება და ანტიტერორისტული მოქმედება, რომლის დროსაც ამერიკულმა საზღვაო ქვეითთა ერთმა და საქართველოს "კომანდოს" ასევე ერთმა ასეულმა ერთობლივი სწავლებები გამართეს.

წვრთნებში მცურავი საშუალებები და საფრენი აპარატებიც მონაწილეობდნენ. პროგრამის ფარგლებში მოხდა ასევე სამხედრო ექიმების მომზადება. სწავლება მთლიანად ამერიკის მხარემ დააფინანსა. **ინტერპრესნიუსი**

თბილისის მერი ოფიციალური ვიზიტით იტალიას ეწვევა

თბილისის მერი გიგი უგულავა ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით ხუთშაბათს იტალიაში გაემგზავრა.

ვიზიტის ფარგლებში უგულავა ტურინს ეწვევა, სადაც ქალაქებს შორის თანამშრომლობის თაობაზე თავის კოლეგასთან შეხვედრას გამართავს.

მერთან ერთად, იტალიაში გაემგზავრება ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის უფროსი ნიკოლოზ ჩხაიძე. **პრაიმ-ნიუსი**

ნოდარ ნათაძე რუსეთის არარაციონალურ ნაბიჯებზე

სახალხო ფრონტის თავმჯდომარე ნოდარ ნათაძე ცხინვალის რეგიონში განვითარებულ მოვლენებს პოსტსაბჭოთა სივრცეში და, კერძოდ, ამიერკავკასიაში რუსეთის გააქტიურებით ხსნის.

ნათაძე მიიჩნევს, რომ რუსეთი კონფლიქტურ ზონებში საქართველოს საომარ მოქმედებებში ჩათრევას ცდილობს.

ნათაძის შეფასებით, დსთ-ს სივრცეში აშშ-ს აქტიურობის ფონზე, რუსეთი "არარაციონალურ ნაბიჯებს დგამს" და თავის ზოგად პოლიტიკაში კორექტივების შეტანას ცდილობს. **ინტერპრესნიუსი**

კურსანტები "კონცეპტუალურ დავას" შეეწირნენ

ჰირველი გვერდიდან

ხელისუფლება საკუთარ პასუხისმგებლობაზე უარს ამბობს.

თავისთავად, ბრიტანული ვარიანტის უპირატესობა ცუდს არაფერს მოასწავებს, ორივე მოდელს თავისი ახსნა და გამართლება აქვს, ორივე მათგანი ნატო-ს სტანდარტებთან შესაბამისობაშია. პრობლემა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის გაურკვევლობაშია. **"თუ ნატო-ს სტანდარტებისკენ მივდივართ, მთავარი ის კი არ არის, თურქულ მოდელს ვანიჭებთ უპირატესობას თუ ბრიტანულს. სტანდარტი იმაში მდგომარეობს, გადაწყვეტილების მიღების მექანიზმის ჯაჭვი როგორ არის აწყობილი. გაურკვევლია პროცედურები, მსჯელობის კულტურა, ის, თუ რა წრეებში განიხილებოდა ეს საკითხი. იწერება თუ არა პატაკები, განიხილება თუ არა ალტერნატიული წინადადებები,"** - განუცხადა "24 საათს" ექსპერტმა სამხედრო საკითხებში, ფონდ "ღია საზოგადოება-საქართველოს" აღმასრულებელმა დირექტორმა დავით დარჩიაშვილმა.

სამხედრო აკადემიის რეფორმის თაობაზე საზოგადოებამ პოსტფაქტუმ გაიგო. ამ თემაზე ღიად და გახსნილად სეროზული მსჯელობები არ გამართულა. **"კარგად მოგეხსენებათ, რომ თავდაცვის სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობა საზოგადოებასთან არ მსჯელობს,"** - ირონიულად შენიშნავს ექსპერტი კობა ლიკლიკაძე.

დანარჩენი საზოგადოებისაგან განსხვავებით, რეფორმა ყველაზე მტკივნეული იმ რამდენიმე ასეული კურსანტისთვის აღმოჩნდა, რომლებიც 16 სექტემბერს, აკადემიაში, ჩვეულებრივ, სწავლის გასაგრძელებლად გამოცხადნენ და ისინი აუდიტორიებში არ შეუშვეს. მეორე და მესამე კურსელები აკადემიიდან უცერემონიოდ გაყარეს. თავდაცვის სამინისტროსა და აკადემიის ხელმძღვანელობა მათ საპროტესტო გამოსვლებზე არ რეაგირებს. როგორც თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელმა "24 საათს" განუცხადა, კურსანტების უკმაყოფილება საფუძველს მოკლებულია. მისი განმარტებით, აკადემია ამ ახალგაზრდებს გარკვეულ შეღავათს, საკონტრაქტო ჯარში სამსახურს სთავაზობს. იქ წარმატების მიღწევის შემთხვევაში კი, მათ რეფორმირებულ აკადემიაში ერთწლიანი კურსის გავლას ჰპირდება. **"ეს შეღავათი კი არა, საქართველოს ნებისმიერი, ახალგაზრდა და ჯანმრთელი მოქალაქის უფლებაა!"** - "24 საათის" ამ რეპლიკას თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელიც ეთანხმება. მიუხედავად ამისა, იგი ცოცხალი თავით არ აღიარებს, რომ კურსანტების უფლებები უხეშად ილახება.

რაც შეეხება აკადემიის მეოთხეკურსელებს, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლის ინფორმაციით, ისინი ავტომატურად ჩაირიცხებიან უკვე რეფორმირებულ აკადემიაში. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, თავდაცვის მინისტრის ბრძანებაში პირდაპირი ფორმით არ არის მინიშნებული მეოთხე კურსელების ავტომატურად ჩარიცხვის შესახებ. ამ საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაშიც (თუ მათ ავტომატურად ჩარიცხავენ) დამამთავრებელი კურსის წარმომადგენლები მაინც წაგებულები რჩებიან: რეფორმამდელ აკადემიაში სამი წლის მაც წელს აკადემიაში მიღება გააუქმა, ვერავის დაანჯერებს, რომ კურსანტებს სრული კურსის დასრულების საშუალება უსახსრობის გამო მოუსპო. საქმე ის არის, რომ კურსანტების სწავლებას, ქართულ-თურქული პროგრამის მიხედვით, თურქეთის სახელმწიფო აფინანსებდა. ცალკე მსჯელობის საგანია, რა რეაქცია მოჰყვება ამ პროგრამის ქართული მხარის ინიციატივით შეწყვეტას თურქეთის მხრიდან. მართალია, თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენელი აცხადებს, რომ პროგრამა კონკრეტულ ვადებს არ მოიცავს, მაგრამ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, საქართველოსა და თურქეთის სახელმწიფოებს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, პროგრამას 2006 წლის ჩათვლით უნდა ემუშავა. აქედან გამომდინარე, იგი ვადაზე ადრე შეწყდა. ჩვენი ინფორმაციით, თურქეთის შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი ამ საკითხზე თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობას უნდა შეხვედროდა. და ეს, მიუხედავად იმისა, რომ თურქებს ბოლომდე არ სჯეროდათ, ქართული მხარე ასეთ "სპონტანურ ნაბიჯს" თუ გადადგამდა.

აკადემიის მსმენელების უცერემონიოდ დათხოვნას კობა ლიკლიკაძეც აპროტესტებს: **"დღეს არსებობს პირველადი ოფიცრების დეფიციტი. ამიტომაც ღირდა, კურსანტებს სწავლა დაემთავრებინათ. ამით ხელისუფლება საზოგადოებას დაანახებდა, რომ იგი პასუხისმგებლობას იღებს არამარტო სუფთა ფურცლიდან დაწყებულ საქმეზე, არამედ იმ ადამიანების ბედზეც, რომლებმაც ოფიცრობა ცოტა უფრო ადრე აირჩიეს და აირჩიეს არა შევადრნაძის, არამედ ქვეყნის სიყვარულით."**

ამას წინათ, "პატრიოტთა" შეკრებაზე საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა უსაქმო "ბირუაველებს" ჯარში სამსახურისკენ მოუწოდა. პარლამენტის შენობის წინ საპროტესტო აქციის მონაწილე კურსანტები აცხადებდნენ, რომ მათ შემთხვევაში პირიქით ხდება, რომ მათ ქუჩისკენ თავად სახელმწიფო უბიძგებს.

კურსანტებს "ქონების დაბრუნების" ბრალდება წაუყენეს

ნინო სვანიძე

ბრალდების მიხედვით, კურსანტებმა ნაწილობრივ ან სრულად დაკარგეს ის ქონება, რომელიც მათ სახელმწიფოსგან სწავლის პერიოდში მიიღეს. ეს ქონება მოიცავს ფორმის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ლოგინეულობას, ავეჯს, ტექნიკას, ასევე, ინვენტარს. ბრალდების მიხედვით, ზიანის ოდენობა 1 მილიონ 200 ათას ლარს შეადგენს.

ბრალდებულებს ადანაშაულებენ ასევე იმაში, რომ მათ ქონების დაბრუნების მოთხოვნით მიმართეს სასამართლოს, რომელმაც ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ბრალდებულებმა ქონების ნაწილი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცეს, ნაწილი კი ვერ დააბრუნეს.

ბრალდებულებს ადანაშაულებენ ასევე იმაში, რომ მათ ქონების დაბრუნების მოთხოვნით მიმართეს სასამართლოს, რომელმაც ეს მოთხოვნა დააკმაყოფილა. ამის შემდეგ ბრალდებულებმა ქონების ნაწილი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების ეროვნულ ბიუროს გადასცეს, ნაწილი კი ვერ დააბრუნეს.

უკრაინას ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს

ხათუნა გაბიევი

უზენაესმა რადამ იური ეხანუროვი უკრაინის პრემიერ-მინისტრის პოსტზე განმეორებითი კენჭისყრის შემდეგ დაამტკიცა. 20 სექტემბერს მთავრობის მეთაურის პოსტზე დასამტკიცებლად მას სამი ხმა არ ეყო.

მის კანდიდატურას 338-დან 289 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, იმ დროს, როცა გადაწყვეტილების მისაღებად 226 ხმაც საკმარისი იყო. იური ეხანუროვმა პრემიერ-მინისტრის პოსტზე იულია ტიმოშენკო შეცვალა. ამ უკანასკნელის მთავრობა უკრაინის პრეზიდენტმა 8 სექტემბერს დაითხოვა.

მთავრობის ახალი ხელმძღვანელი კაბინეტის დაკომპლექტებას რამდენიმე დღეში შეუდგება.

"ჩემს შეხედულებებს, მომავალი მთავრობის შესახებ მოსაზრებებს მომავალ კვირას დნეპროპეტროვსკში გაგაცნობთ. ჩემს მიერ ფორმირებული კაბინეტის პრიორიტეტი მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესის ხელშეწყობა იქნება. გარდა ამისა, ჩვენ გავითვალისწინებთ საზღვარგარეთ ჩვენი პარტნიორების ინტერესებსაც," - აღნიშნა სიტყვით გამოსვლისას ახალმა პრემიერმა.

ეხანუროვის განცხადებაში ყურადღებას ერთი დეტალიც იქცევს - კერძოდ, მისი თქმით, ახალი მთავრობის, სულ მცირე, ერთი მესამედი ისეთი ხალხისაგან იქნება დაკომპლექტებული, რომელთაც პოლიტიკასთან არავითარი შეხება არ აქვთ.

ვიქტორ იუშენკო, რომელმაც თავად წარადგინა ეხანუროვის კანდიდატურა, უზენაესი რადას გადაწყვეტილებას დემოკრატიის ჭეშმარიტ გამარჯვებად აფასებს.

"ამ დღეებში მე არჩევანის წინაშე ვიდექი - ყველაფერზე მაღლა უკრაინა დამეყენებინა, თუ ანგარიში ჩემი კოლეგების გარკვეული წრისთვის გამეწია? მე ბედნიერი ვარ, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე. ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მეგობრები გაიგებენ ამ არჩევანის ფასს," - განაცხადა ვიქტორ იუშენკომ.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ეხანუროვის კანდიდატურისთვის კენჭისყრისას უკრაინის პრეზიდენტს მხარდაჭერა "უკრაინის რეგიონების" პარტიამ გამოუცხადა, რამაც გადაწყვიტა, ფაქტობრივად, ახალი პრემიერ-მინისტრის კანდიდატურის მიღება პარლამენტის მიერ. განმეორებითი კენჭისყრისას ეხანუროვის კანდიდატურას "უკრაინის რეგიონების" პარტიის 50 წარმომადგენელმა დაუჭირა მხარი მაშინ, როცა 20 სექტემბერს გამართულ კენჭისყრაში ამ პარტიის სიით წარმოდგენილი დეპუტატებიდან მხოლოდ 3 კაცი უჭერდა მხარს პრეზიდენტის ფავორიტს. როგორც ცნობილია, ეს პარტია საპრეზიდენტო არჩევნებში იუშენკოს ყოფილი მეტოქის ვიქტორ იანუკოვიჩისაა. კენჭისყრამდე ცოტა ხნით ადრე უკრაინის ამჟამინდელმა პრეზიდენტმა და ვიქტორ იანუკოვიჩმა შეთანხმების მიღწევა შეძლეს, რომელიც მემორანდუმითაც გაფორმდა. მემორანდუმს ხელს იური ეხანუროვიც აწერს.

"ხელმოწერილი შეთანხმების სრული და განუხრელი შესრულება წარმოადგენს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შესაძლო კონსენსუსის მტკიცებულებას. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმას, რომ საჭიროა, პირველ რიგში, კერძო ამბიციებზე მაღლა ხალხის ინტერესების დაყენება," - ნათქვამია მემორანდუმში.

თანაც, მოლაპარაკებებისას მხარეები ისეთ საკითხებსაც შეეხნენ, როგორიცაა პოლიტიკური მოტივებით დევნის გამორიცხვა, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, განურჩევლად პოლიტიკური შეხედულებებისა, და კერძო საკუთრების უფლების დაცვა.

ნოღაიდელმა ეკონომიკური რეფორმები "ქართული კომერციული გემით" "დააგვირგვინა"

დიანა ჩაჩუა

მალე ევროპის მდინარეებში ქართული წყარმოების გემები იცურებენ. გუშინ, ს/ს "ფოთის გემთსაშენსა" და ჰოლანდიურ კომპანია "DAMEN SHIPYARDS BERGUM"-ს შორის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მიხედვითაც, ქართული ქარხანა, ჰოლანდიური კომპანიის დაკვეთით, ფოლადის კორპუსის მქონე სატვირთო გემების სერიულ მშენებლობას იწყებს.

"ფოთის გემთსაშენსა" და ჰოლანდიურ კომპანია "DAMEN SHIPYARDS BERGUM"-ს შორის ხელშეკრულების ხელმოწერის ცერემონიას გუშინ, საქართველოს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, ბიზნესწრეების, დიპლომატიური კორპუსის და პარლამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათ შორის - პრემიერ-მინისტრი ზურაბ ნოღაიდელი და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. ხელისუფლების წარმომადგენლები გუშინ საკუთარი მიღწევებით ამაყობდნენ. **"ეს არის ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმების დაგვირგვინება. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად, კომერციული ქართული გემი აშენდება. რაც მთავარია, ამ მოვლენის წყალობით, წლობით უმუშევარი მუშახელი დასაქმდება,"** - განაცხადა პრემიერ-მინისტრმა "თბილისი მარიოტში" გამართულ საზეიმო ცერემონიალზე.

"ეს არის ყველაზე დიდი და სერიოზული შეკვეთა, რომელიც ოდესმე რომელიმე ქართულ საწარმოს დასავლური ქვეყნის დაკვეთით შეუსრულებია. ეს ფაქტი, თავისთავად, საქართველოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე მიუთითებს და ადასტურებს იმ ნდობას, რაც ჰოლანდიურმა კომპანიამ ქართულ საწარმოს გამოუცხადა. საქართველოს ისტორიაში პირველად, ქვეყანაში შენდება კომერციული სატვირთო გემი, რაც ნიშნავს, რომ საქართველო დადგება იმ ქვეყნების გვერდით, რომლებშიც აღნიშნული დარგია განვითარებული," - მიმართა "ფოთის გემთსაშენის" ბერძენმა დირექტორმა დემეტრიუს ელეპტერიუსმა ხელშეკრულების გაფორმების ცერემონიალზე შეკრებილ საზოგადოებას.

"ეს არის უნიკალური შემთხვევა ქართული ბიზნესის ისტორიაში და კიდევ ერთხელ მეტყველებს ქართული ბიზნესის დიდ პოტენციალზე," - საუბრობდა საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი გიორგი ისაკაძე.

ქართულ საწარმოსა და ჰოლანდიურ კომპანიას შორის გაფორმებული კონტრაქტი 12 სამდინარო ტიპის სატვირთო გემის მშენებლობას ითვალისწინებს და მისი ღირებულება 18 მილიონი დოლარია. თითოეული გემის ტვირთამწეობა 200 ტონას შეადგენს. თუმცა, როგორც ქართული საწარმოს წარმომადგენლები ამბობენ, ჰოლანდიური ფირმა გამოთქვამს სურვილს, საწარმოში სხვა ტიპის გემების მშენებლობაც დაუკვეთოს.

უახლოეს დღეებში დასრულდება ქართული საწარმოს სერტიფიცირება საერთაშორისო სტანდარტის ფარგლებში და საწარმო ევროპის ახალი ტიპის ჩქარისნული სამგზავრო გემებით მომარაგებას შეძლებს. "ფოთის გემთსაშენს" უკვე გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები პროექტის ავტორთან - საკონსტრუქტორო ბიურო "აგატთან".

ცნობისათვის, ს.ს. "ფოთის გემთსაშენი", რომელიც საქართველოს ბიზნესმენთა ფედერაციის წევრია, ISA 9002-ის საერთაშორისო სერტიფიკატს ფლობს. ს.ს. "თბილავიამშენთან" ერთად, ის მეორე სერტიფიცირებული მანქანათსამშენებლო საწარმოა საქართველოში.

ეს არის უნიკალური შემთხვევა ქართული ბიზნესის ისტორიაში.

ორი სიტყვით

თბილისი. თბილისის ისანი-სამგორისა და მთაწმინდა-კრწანისის რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა თბილისში მოქმედი ორგანიზაბულ-დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი და კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, 27 წლის გიორგი ბერეკაშვილი, მეტსახელად "თოხა", იარაღის უკანონოდ ტარებისათვის დააკავეს. მისგან ამოღებულია პისტოლეტი "ტტ" მჭიდითა და 8 ვაზნით და პისტოლეტი "ბაიკალ-442" მჭიდითა და 6 ვაზნით. ბერეკაშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე თბილისის მთავარ სამმართველოში აღიძრა. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. პოლიციელებმა გასული დღე-ღამის განმავლობაში საქართველოს მასშტაბით 8 ძებნილი დააკავეს, მათ შორის არიან:

ნარკომანიისათვის ძებნილი, 24 წლის ლაშა კირთაძე; ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ ტარებისათვის ძებნილი, 27 წლის რომეო თოლორაია;

ქურდობისათვის ძებნილები - 30 წლის ვეფხია შეღვიაშვილი, 32 წლის გოჩა მამულაშვილი, 15 წლის ჯემალ ბადაშვილი და 21 წლის ანდრო მაისურაძე, ასევე - ძარცვისა და ავტოტრანსპორტის მარლთსაწინააღმდეგოდ დაუფლებისათვის ძებნილი, 31 წლის გოჩა კობალაძე და თაღლითობისათვის, სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენებისათვის, გადასახადებისაგან თავის არიდებისათვის და ფასიანი ქაღალდების ბაზრის წესების დარღვევისათვის გორის პოლიციის მიერ ძებნილი, 41 წლის გია მგალობლიშვილი. **ჯი-ეიჩ-ენი**

■ ■ ■

თბილისი. კახეთში ყურძნის მოსავლის აღების პროცესს სოფლის მეურნეობის მინისტრი მიხეილ სვიმონიშვილი პირადად დაესწრება. "შეიძლება ითქვას, რომ კახეთში, კერძოდ კი, დედოფლისწყაროს და სიღნაღის რაიონებში რთველი უკვე დაიწყო. 80-მდე ღვინის ქარხანა ყურძნის მიღებისთვის მზად არის," - განაცხადა მინისტრმა. მისივე თქმით, ორი დღის წინ კახეთში სეტყვა მოვიდა, რის შედეგადაც თელავის რაიონის 3 სოფელი დაზარალდა. "სეტყვამ მოსავალი გაანადგურა, მაგრამ ეს არის უმნიშვნელო," - განაცხადა სვიმონიშვილმა. **ინტერპრესნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. რუსული ავია

ნაღმებისა და ბრალდებების ომი

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

კონფლიქტის ზონაში მომხდარ მორიგ ინციდენტზე საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა მალევე გააკეთა კომენტარი და ამ ყველაფერს პროვოკაცია უწოდა. მაშინ, როდესაც სამშვიდობო მოლაპარაკებების პროცესი კარგად მიმდინარეობდა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ნოღაიდელის სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტ ედუარდ კოკოითთან შეხვედრა იგეგმებოდა, **"მოვლენების ამგვარი განვითარება საქართველოს ინტერესებში ნამდვილად არ შედიოდა,"** - მიუთითა მან.

"ამ პროვოკაციის შედეგად, ყველა ლოგიკით, ბრალდებები ქართული მხარისკენ იქნებოდა მიმართული," - ნათქვამია ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებაში, რომელიც თავდაცვის სამინისტრომ გაავრცელა.

მინისტრი არ გამორიცხავს, რომ ეს ყველაფერი საქართველოს პარლამენტში რუსი სამშვიდობოების მისამართით სერიზულ პრეტენზიებს უკავშირდებოდეს, **"რომლებიც ამგვარი პატარ-პატარა პროვოკაციების ინსპირირებით არიან დაკავებულები."**

კონფლიქტის ზონაში მომხდარ ფაქტზე საკუთარი მოსაზრება გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემაც დააფიქსირა. მისი ხედვით, ინციდენტი სამშვიდობო პროცესის ჩაშალელად იყო გამიზნული.

"ყველაფერი, რაც ცხინვალში მოხდა, ერთ მიზანს ემსახურებოდა - სამშვიდობო პროცესის ჩაშლას, რომელსაც ქართული მხარე ასე აქტიურად ახორციელებს ამ რეგიონში," - განაცხადა ბურჯანაძემ.

ამასთან, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს თავმჯდომარეს გუშინვე შეხვედრა ჰქონდა საქართველოში რუსეთის ელჩთან ვლადიმირ ჩხიკვიშვილთან. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ რეგიონში ვითარება, მათ შორის - კრიმინოგენული, კვლავ რთული რჩება.

როგორც ცნობილია, საქართველოს ხელისუფლებამ მკაცრად გააკრიტიკა კონფლიქტის ზონებში მოქმედი რუსი სამშვიდობოები მათზე დაკისრებული მისიის შეუსრულებლობის გამო. პარლამენტი ამის თაობაზე მკაცრი დადგენილების მიღებასაც კი გეგმავს. აღნიშნულის საპასუხოდ, ელჩმა ჩხიკვიშვილმა აღნიშნა, რომ ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობოები ყველაფერს აკეთებენ, რაც მათ ფუნქციებში შედის.

"სამშვიდობოების ფუნქციაა, კრიმინალებს ებრძოლოს. მათ პოლიციური უფლებები არ აქვთ," - დასძინა რუსეთის ელჩმა, ხოლო **"კონფლიქტის ზონებიდან სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ გადაწყვეტილების მიღება ქართული მხარის უფლებაა."**

კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრ გიორგი ხაინდრავას მოსაზრებით კი, ცხინვალის რეგიონში მიმდინარე სამშვიდობო პროცესში რუსეთმა შუამავლის ფუნქცია ვერ შეასრულა და ქართული მხარე სამშვიდობო ფორმატის შეცვლაზე სერიოზულად ფიქრობს.

"რუსეთის ფედერაციის ტერიტორიიდან ცხინვალის რეგიონში მძიმე ტექნიკის შეტანის ფაქტებმა ცხადი გახადა, რომ რუსეთმა კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებით საკუთარი მოვალეობა ვერ შეასრულა," - განაცხადა სახელმწიფო მინისტრმა.

ხაინდრავას შეფასებით, შერეული საკონტროლო კომისია კრიტიკულ სიტუაციებში, პრაქტიკულად, უუნარო ორგანოა, ხოლო რუსეთი, როგორც შუამავალი მხარე, თავისი უმოქმედობით ხელს უწყობს კონფლიქტის ზონის მილიტარიზაციას, ფაქტობრივ ანექსიას, ოსური მხრიდან აგრესიის დემონსტრირებას, ცხინვალის ხელისუფლების სეპარატისტული ზრახვების წახალისებას, რაც საბოლოო ჯამში, რუსეთს, როგორც სამშვიდობო პროცესის მონაწილეს, საერთაშორისო ასპარეზზე ავტორიტეტს ულახავს.

"შერეული საკონტროლო კომისიის მიერ არსებული ფორმატით მუშაობამ აზრი დაკარგა. ქართული მხარე ფორმატის შეცვლის საკითხს ვალერი კენიანკინთანაც დააყენებს," - აღნიშნა გიორგი ხაინდრავამ.

ამასობაში, ცხინვალის რეგიონში შექმნილი რთული ვითარების გამო, თბილისში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩი ვალერი კენიანკინიც ჩამოვიდა. იგი, ამავდროულად, ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების საკითხებზე მომუშავე შერეული საკონტროლო კომისიის (შსკ) თანათავმჯდომარეა რუსეთის მხრიდან. მან კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრთან გიორგი ხაინდრავასთან შეხვედრა გამართა, რომელზეც სწორედ შერეული საკონტროლო კომისიის საგანგებო სხდომის მოწვევის საკითხი განიხილა.

"ჩამოვედი მოლაპარაკებათა პროცესის აღსადგენად და შერეული საკონტროლო კომისიის მორიგი ან საგანგებო სხდომის ჩასატარებლად," - გაანდო ჟურნალისტებს ვიზიტის მიზანი ელჩმა.

შსკ-ს სხდომის უახლოეს ხანებში გამართვის აუცილებლობაში სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ხელმძღვანელების დარწმუნების მიზნით, იგი გუშინვე ცხინვალში გაემგზავრა.

სამშვიდობო ძალებთან მიმართებაში კენიაკინს საკუთარი მოსაზრება აქვს და არ იზიარებს ქართველ პოლიტიკოსთა მოსაზრებას იმის შესახებ, რომ კონფლიქტის ზონაში მოქმედმა სამშვიდობო ძალებმა და არსებულმა ფორმატმა, რომლის ფარგლებშიც სამშვიდობო პროცესი მიმდინარეობს, საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა.

"ხშირად ყველას ავიწყდება, რომ კონფლიქტის ზონაში სტაბილურობის ერთადერთი გარანტი სწორედ სამშვიდობო ძალებია, რომელთაც გენერალ-მაიორი კულახმეტოვი ხელმძღვანელობს," - აღნიშნავს რუსი დიპლომატი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი რუსეთის ფედერაცია სეპარატიზმის მხარდაჭერაში, საერთაშორისო სამართლის პრინციპებისა და ნორმების დარღვევაში, ასევე, საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფაში დაადანაშაულა.

"მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ქალაქ ცხინვალში ადგილობრივი სეპარატისტული ხელისუფლების მიერ ჩატარებულ სამხედრო აღლუმზე გამოყვანილი იქნა მძიმე ტექნიკა. აღნიშნული ფაქტი წარმოადგენს სამშვიდობო პროცესის საბაზისო დოკუმენტის სოჭის 1992 წლის შეთანხმების და შერეული საკონტროლო კომისიის დადგენილებების უხეშ დარღვევას," - ნათქვამია საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გუშინ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

შექმნილ ვითარებაში საგარეო უწყების განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს კონფლიქტის ზონაში განთავსებული, რუსეთის სამშვიდობო ძალების უმოქმედობა, მაშინ, როცა მათ თვალწინ დაუფარავად გადაადგილდება სეპარატისტების მძიმე ტექნიკა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ სწორედ რუსული სამშვიდობო ძალების მეშვეობით ხდება სეპარატისტული ხელისუფლების უკანონო სამხედრო ფორმირებების შეიარაღება. ამიტომაც, სახელმწიფო უწყება კატეგორიულად მოითხოვს, დაუყოვნებლივ აღიკვეთოს ცხინვალის რეგიონში ზემოაღნიშნული დესტრუქციული ქმედებები და სეპარატისტებისთვის იარაღის მიწოდება. ამავე დროს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო მიმართავს მსოფლიო თანამეგობრობას, რათა სათანადოდ შეფასდეს რუსეთის ფედერაციის მცდელობა, შელახოს საქართველოს სუვერენული უფლებები და ხელყოს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა.

მოკლედ

რუსთავის N1 დაწესებულებაში 12-მეტრიანი გვირაბი აღმოაჩინეს

იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის რუსთავის N1 დაწესებულების თანამშრომლებმა საპატიმროს ტერიტორიაზე 12-მეტრიანი გვირაბი აღმოაჩინეს, რომელიც ერთი-ერთი საცხოვრებელი კორპუსიდან მთავარი დამცავი კედლის მიმართულებით იყო გათხრილი.

გვირაბი ერთ-ერთი მსჯავრდებულის საწოლის ქვეშ ითხრებოდა. მისი რადიუსი - 85 სმ, სიღრმე - 1,5 მეტრი, ხოლო სიგრძე 12 მეტრია. იგი მთავარ დამცავ კედელთან მთავრდებოდა და ერთი დღე მის დასამთავრებლად საკმარისი იქნებოდა. გვირაბის გათხრაში, წინასწარი ინფორმაციით, 6 მსჯავრდებული მონაწილეობდა. გვირაბში აღმოჩნდა ბარი, წერაქვი და თოკისა და პლასტმასის ჯგამისაგან დამზადებული მიწის გამოსაზიდი მოწყობილობა. როგორც გაირკვა, ამოთხრილ მიწას მსჯავრდებულები მეზობელ კორპუსში, იატაკის ქვეშ ყრიდნენ.

გვირაბში პატიმრებს განათებაც ჰქონდათ გაყვანილი. იმ საცხოვრებელ კორპუსში, საიდანაც მსჯავრდებულები გაქცევას ამზადებდნენ, 120 მსჯავრდებული იმყოფება.

ამ ფაქტთან დაკავშირებით იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

რუსთავის N1 დაწესებულებაში დღეისათვის 915 მსჯავრდებული იხდის სასჯელს.

24 საათი

არყის ქურდობისთვის მსჭავრდებული სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, პატიმრობიდან გათავისუფლდა პირი, რომლისთვისაც პროკურატურა 8 წლით თავისუფლების აღკვეთას მოითხოვდა.

უზენაესი სასამართლოს ცნობით, სასამართლომ მოქალაქე კახა იორამაშვილის საქმე განიხილა, რომელსაც ბრალად ქურდობა ედებოდა. იორამაშვილმა 2004 წლის 20 ივნისს დუშეთის რაიონის სოფელ წიფრანში მდებარე მოქალაქე ლევან ქავთარაძის საცხოვრებელი სახლის სარდაფიდან 55 ლარად ღირებული ხილის არყით სავსე 20-ლიტრიანი ბოცა მოიპარა.

აღნიშნული დანაშაულისთვის იორამაშვილს, დუშეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილებით, 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. პროცესში მონაწილე სახელმწიფო ბრალმდებელმა - დუშეთის რაიონის პროკურორის თანაშემწე მ. ჩანქვაძემ კი განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა, რადგან მიიჩნია, რომ გადაწყვეტილება ლმობიერი იყო და იორამაშვილს სასაჯელი მკაცრი რეჟიმის დანესებულებაში უნდა მოეხადა. ამის საფუძველზე, პროკურორმა იორამაშვილისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა. თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენით, ბრალდებულს 1 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, რაც, თავის მხრივ, პროკურორმა ჩანქსელიანმა უზენაეს სასამრთლოში გაასაჩივრა. თუმცა, უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არათუ პროკურორის აზრი გაიზიარა, არამედ ზედმეტად მკაცრად მიიჩნია საოლქო სასამართლოს განაჩენიც.

"საკასაციო პალატა ითვალისწინებს მსჯავრდებულ კ. იორამაშვილის განსაკუთრებულ შემამსუბუქებელ გარემოებებს, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, ქმედების განხორციელების სახეს, ხერხსა და მართლსაწინააღმდეგო შედეგს, მსჯავრდებულის წარსულ ცხოვრებას, მძიმე ეკონომიკურ პირობებს და, მსჯავრდებულის რესოციალიზაციის მიზნით, პალატას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ კ. იორამაშვილს განაჩენით შეფარდებული სასჯელი უნდა შეეცვალოს პირობით შემდეგ გარემოებათა გამო:

მსჯავრდებული კ. იორამაშვილი წარსულში ნასამართლევი არ არის, მის მიერ ჩადენილ დანაშაულს მოჰყვა უმნიშვნელო მატერიალური ზიანი, რომელიც მთლიანად ანაზღაურებულია. მისი წარსული არაფრითაა შებღალული, იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, ხასიათდება დადებითად. პალატა მხედველობაში იღებს იმასაც, რომ კ. იორამაშვილი განიცდის უმძიმეს ოჯახურ და ეკონომიკურ გაჭირვებას, იგი არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი, მის კმაყოფაზეა პირველი ჯგუფის ინვალიდი მამა და ლოგინს მიჯაჭვული ინვალიდი ბებია. პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია," - ჩაიწერა უზენაესი სასამართლოს განაჩენში. შესაბამისად, უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს საბოლოო განაჩენით, იორამაშვილს განაჩენით შეფარდებული სასჯელი პირობითი მსჯავრით შეეცვალა და დაკავებული სასამართლო დარბაზიდან გათავისუფლდა.

24 საათი

გალის რაიონის მცხოვრები ისევ ტყვეობაში იმყოფება

გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში მცხოვრები ტურინ კაკულია, რომელიც, დაახლოებით ოთხი დღის წინ დაუდგენელმა შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს, ჯერჯერობით ისევ ტყვეობაში იმყოფება.

მისი ოჯახის წევრებმა, რომლებიც მოსკოვში ცხოვრობენ, გამტაცებლებისგან მიიღეს ვიდეოფირი, სადაც ისინი კაკულიას, გათავისუფლების სანაცვლოდ, 60 ათას დოლარს მოითხოვენ.

ქართულმა მხარემ ამ გატაცების შესახებ გუშინწინ შეიტყო. როგორც ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ვალერი ჯაფარიძე აცხადებს, იგი ჯერ ესაუბრა აფხაზურ ადმინისტრაციას. თუმცა, ისინი აცხადებენ, რომ მათთვის უცნობია კაკულიას ადგილსამყოფელიც და გამტაცებელთა ვინაობაც.

გუშინ კაკულიას საკითხი ჟნევურხინჯის ოთხმხრივ შეხვედრაზეც დაისვა. გარდა ამისა, ქართულმა მხარემ ამ შეხვედრაზე გალის რაიონში ბოლო დროს გართულებული კრიმინოგენული მდგომარეობის შესახებაც ისაუბრა.

ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, ბოლო ხანებში განსაკუთრებით თვალშისაცემია აფხაზური მილიციის პატრულირება გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლებში. ასევე, გააქტიურებულია რუსეთის სამშვიდობო ძალების პირადი შემადგენლობა, რომელთა საგუშაგოები განლაგებულია გალის რაიონის ტერიტორიაზე.

როგორც ცნობილი გახდა, გალის აფხაზური ადმინისტრაცია ეძებს მოხალისეებს გალის რაიონის დაბალი ზონის სოფლების მოსახლეობაში. მათ ჰპირდებიან ხელფასს, დაახლოებით, 80 ლარის ეკვივალენტით რუსულ რუბლებში და სთხოვენ აფხაზურ მილიციასთან ერთად მონაწილეობა მიიღონ პატრულირების პროცესში.

გარდა ამისა, აფხაზურმა ადმინისტრაციამ დააწესა გარკვეული ჯილდო მათთვის, ვინც მათ ინფორმაციას მიაწვდის გალის რაიონში საეჭვო ქართველი ერთების პირების ყოფნის თაობაზე.

ინტერპრესნიუსი

გარდაცვლილი პატიმრის ოჯახის ადვოკატს გენპროკურატურაში საჩივარი შეაქვს

პატიმართა სამკურნალო დაწესებულებაში გარდაცვლილი პატიმრის ზაზა ძიგრაშვილის ოჯახის ადვოკატს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში საჩივარი შეაქვს.

ადვოკატ ანა ჟღენტის განცხადებით, საჩივარი ისანი-სამგორის რაიონის შსსამმართველოს თანამშრომლის ქურდაძის წინააღმდეგ მომზადდა, რომელმაც ძიგრაშვილს დაკავების დროს ნარკოტიკული ნივთიერება "ჰეროინი" ჩაუდო.

"ძიგრაშვილის ჩხრეკა დამსწრეთა გარეშე ჩატარდა, რაც გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობით ახსნეს", - განაცხადა ჟღენტმა.

მისივე თქმით, ძიგრაშვილმა ქურდაძის სახელი გარდაცვალებამდე თვითონვე დაასახელა. ადვოკატი პოლიციელს სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტებაში ადანაშაულებს.

როგორც ჟღენტი განმარტავს, სასამართლო ექსპერტიზით თუკი დადგინდება, რომ ძიგრაშვილის დროულად გადარჩენა შესაძლებელი იყო, იგი იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის წინააღმდეგაც შეიტანს საჩივარს.

როგორც ცნობილია, 43 წლის ზაზა ძიგრაშვილი 20 სექტემბერს თირკმელების უკმარისობით გარდაიცვალა.

ინტერპრესნიუსი

აფრასიძეების სასამართლო პროცესი 4 ოქტომბრამდე გადაიდო

გუშინ ქუთაისის საოლქო სასამართლოში ძმები აფრასიძეების სასამართლო პროცესი უნდა განახლებულიყო. თუმცა, სასამართლო განხილვა 4 ოქტომბრამდე გადაიდო.

სასამართლო პროცესის მორიგი გადადება ერთ-ერთი ეჭვმიტანილის, მურავიოვის ადვოკატის გამოუცხადებლობამ გამოიწვია. პროცესის გადადება დაცვის მხარემ მოითხოვა.

როგორც ცნობილია, გოჩა და შმაგი აფრასიძეები 2004 წლის 24 მარტს გახმაურებული სპეცოპერაციის დროს სვანეთში აიყვანეს. მათ ბრალად განზრახ მკვლელობის მცდელობა, იარაღის უკანონო ტარება და ხულიგნობა ედებათ. ძმები აფრასიძეების აყვანის ოპერაცია შინაგან საქმეთა სამინისტრომ იმჟამინდელი მინისტრის გიორგი ბარამიძის ხელმძღვანელობით განახორციელა. სასამართლო პროცესი 2005 წლის 10 ივნისს დაიწყო.

ინტერპრესნიუსი

ქუთაისიდან თბილისისკენ მომავალი სამგზავრო ავტობუსი დააყაჩაღეს

გუშინ, გამთენიისას ქუთაისიდან თბილისისკენ მომავალი "იკარუსის" ტიპის სამგზავრო ავტობუსი დააყაჩაღეს. შეიარაღებული პირები ქუთაისში ჩასხდნენ ავტობუსში, რომელშიც ლილოს ბაზრობაზე მიმავალი 30-მდე ქალბატონი იმყოფებოდა.

დანაშაულში ეჭვმიტანილებმა თერჯოლის სოფელ ჭოგნართან მძღოლი იარაღის მუქარით აიძულეს ავტობუსი გზიდან გადაეყვანა და გაეჩერებინა.

როგორც დაზარალებულები აცხადებენ, თავდამსხმელები ორნი იყვნენ. მათ განსაკუთრებული სისასტიკით ავტობუსის მგზავრებს 27 ათასი ლარი გასტაცეს.

მომხდარის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა თერჯოლის პოლიციას. სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ერთ-ერთი თავდამსხმელი, ქუთაისელი მამუკა სინატაშვილი დაიკავეს. მიმდინარეობს სამუშაოები მეორე პიროვნების დადგენა-დაკავების მიზნით.

იმერეთის სამხარეო პოლიციის ცნობით, დაკავებული მამუკა სინატაშვილი, მეტსახელად "ქიქნა", ყაჩაღობისათვის ადრეც არის ნასამართლევი.

ინტერპრესნიუსი

ოპტიმისტი უსუფაშვილი და რეალისტი ხმალაძე

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲓᲐᲜ

"შემოთავაზებული საბიუჯეტო ცვლილებები მთავრობა უკვე მესამედ ცდილობს, მორჩილი საპარლამენტო უმრავლესობით ისარგებლოს, მიჩქმალოს პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ სარეზერვო ფონდების მეშვეობით ათობით მილიონი ლარის უკანონო ხარჯვა და აღნიშნული ცვლილებები სხვადასხვა სამინისტროების ან პროგრამების დაფინანსების ზრდად წარმოადგინოს. სინამდვილეში, თანხები, რომლებიც დღეს ვითომ სხვადასხვა უწყებებსა და პროგრამებს ემატება, დიდი ხანია, დახარჯულია აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელთა მიერ პარლამენტის გვერდის ავლითა და უფლებამოსილების გადამეტებით მიღებული თვითნებური გადაწყვეტილებებით," - ნათქვამია "რესპუბლიკური პარტიის" მიმართვაში, რომელიც გუშინ სასტუმრო "თორში" გამართულ პრესკონფერენციაზე გავრცელდა.

"რესპუბლიკური პარტია" მთავრობისგან და შესაბამისი თანამდებობის პირებისგან რამდენიმე კითხვაზე პასუხს ითხოვს. კერძოდ, რომელი კანონის რომელი მუხლით სარგებლობს მთავრობა, როდესაც რამდენიმე თვის წინათ უკვე დახარჯული ათობით მილიონი ლარის ე.წ "კორექტირებას" ითხოვს პარლამენტისგან; რომელი კანონის რომელი მუხლით სარგებლობენ პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, როდესაც აგრძელებენ ხარჯების გაღებას დიდი ხნის წინათ ამოწურული სარეზერვო ფონდებიდან; რომელი კანონის რომელი მუხლის საფუძველზე ახდენდა კონტროლის პალატა კანონის პირდაპირი მოთხოვნის იგნორირებას სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯვის კვარტალური ანგარიშების პარლამენტში წარდგენის თაობაზე...

ამ და სხვა კითხვებზე პასუხის მიუღებლობის შემთხვევაში "რესპუბლიკელები" საიმპიჩმენტო პროცესის დაწყებას აპირებენ.

"საბიუჯეტო ცვლილებებზე ხელისუფლებამ ტაშ-ფანდური ატეხა, მაგრამ ამ ცვლილებებში ერთი ჩახედვითაც კი სულ სხვა სურათი იშლება... ბიუჯეტის ზრდა თვითმიზნად იქცა, სამართლებრივ, ფისკალურ და ეკონომიკურ ფაქტორებს კი ნაკლები ყურადღება ექცევა," - აცხადებს პარლამენტარი ივლიანე ხაინდრავა.

"რესპუბლიკელები" ხელისუფლებას შეახსენებენ, რომ პრეზიდენტის ფონდიდან სახსრების ხარჯვა მხოლოდ სტიქიური უბედურებების და ფორს-მაჟორულ შემთხვევებში შეიძლება. **"რუსლანას კონცერტი რომელ სტიქიურ უბედურებასა და ფორს-მაჟორში ჯდება, მისთვის პრეზიდენტის ფონდიდან თანხები რომ გამოიყო?"** - გაოცებით კითხულობს დავით უსუფაშვილი.

"რესპუბლიკელი" ვახტანგ ხმალაძე კი დღევანდელ ხელისუფლებას ასეთ შემთხვევას შეახსენებს: 2002 წლის ბოლოს "შევარდნაძის პარლამენტმა" არ დაამტკიცა სახელმწიფო ბიუჯეტი, რადგან მასში ჩადებული ამერიკული დახმარების პროგრამა უკვე დახარჯული იყო და იგი პოსტ-ფაქტუმ წარედგინა პარლამენტს "გასაფორმებლად". ხმალაძე ეჭვობს, რომ დღევანდელი კანონმდებლები ასეთივე პრინციპულობას გამოიჩენენ. ამ ეჭვის საფუძველს მას ის გარემოება აძლევს, რომ პარლამენტმა ერთხელ უკვე "გვიანი რიცხვით" გააფორმა გლეხეთისთვის ოც-ოცი ლიტრი საწვავის დარიგებისთვის გაწეული ხარჯები. ხმალაძეს არც იმის სჯერა, რომ მთავრობის წევრთა იმპიჩმენტის პროცესის დასაწყებად დეპუტატების ხელმოწერების საჭირო რაოდენობა მოგროვდება.

"მე უფრო ოპტიმისტი ვარ," - თანაპარტიელის გამხნევებას ცდილობს დავით უსუფაშვილი.

"მე კი რეალისტი ვარ," - პასუხობს პარტიის თავმჯდომარეს ვახტანგ ხმალაძე, რომელსაც ამის თქმის უფლებას მდიდარი საპარლამენტო გამოცდილება აძლევს...

"რესპუბლიკელების" ბრალდებები საფუძვლიანად მიაჩნია ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენელს კახა იმერლიშვილს. მისი თქმით, საბიუჯეტო პროცესში ანალოგიურ დარღვევებს 2004 წელსაც ჰქონდა ადგილი, როდესაც პრეზიდენტის ფონდიდან მასში არსებულ სახსრებზე გაცილებით მეტი დაიხარჯა. სხვათა შორის, იმერლიშვილი იმასაც იხსენებს, რომ თავის დროზე, ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური პრეზიდენტის ფონდის შესახებ კანონში ცვლილებების შეტანას თავად მოითხოვდა.

ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის წარმომადგენლისგან განსხვავებით, "რესპუბლიკელების" ბრალდებები არარეალურად მიაჩნია უმრავლესობის წარმომადგენელს, საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის წევრს შოთა გვენეტაძეს. **"გასაგებია, რომ "რესპუბლიკელები" ოპოზიციაში არიან, მაგრამ მათ ბრალდებებს არანაირი საფუძველი არ გააჩნია. ბიუჯეტთან დაკავშირებული ყველა პროცესი კანონის ჩარჩოებში იყო მოქცეული. თავის დროზე, თანხები პრეზიდენტის და მთავრობის სპეციალური განკარგულებების საფუძველზე, სრულიად კანონიერად გამოიყო,"** - მიიჩნევს გვენეტაძე.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე გიორგი გოდაბრელიძე "რესპუბლიკური პარტიის" ბრალდებებს უსაფუძვლოს უწოდებს. მისი თქმით, "რესპუბლიკური პარტიის" ბრალდება, თითქოს საბიუჯეტო ცვლილებებით მთავრობა ხარჯების "გაპრავებას" ცდილობს, უსაფუძვლოა.

"არ მესმის, რას ნიშნავს თავად ტერმინი "გაპრავება". თუ ბიუჯეტში ხარჯების მატება იმპიჩმენტის საფუძველი შეიძლება გახდეს, აქამდე არ ვიცოდი. იქნებ, ის მინისტრები დავაბრუნოთ, რომელთა დროსაც პარლამენტში ბიუჯეტის სეკვესტრის შესახებ ცვლილებები შემოდიოდა," - განაცხადა გოდაბრელიძემ.

მისივე თქმით, შესაძლოა, 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პრეზიდენტისა და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების ნაწილი მართლაც დახარჯულია, მაგრამ ამას თავისი ობიექტური მიზეზები გააჩნდა.

"მთავრობა საგანგებო ღონისძიებების დაფინანსებისთვის პარლამენტის საშემოდგომო სესიაზე შეკრებას და ყველა იმ პროცედურის გავლას ვერ დაელოდებოდა, რაც საბიუჯეტო ცვლილებებისთვის არის საჭირო. ხარჯების ნაწილი საჩქაროდ დასაფინანსებელი იყო," - განაცხადა გოდაბრელიძემ.

ცოდვის შვილები

თამარ მაისურაძე

ამ ტერიტორიაზე მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და სასულიერო სემინარია ყოფილა.

გზა, რომელიც ელიას მთაზე სამების ქუჩის პარალელურად ადის, ეკლესიასთან მიდის. ზუსტად ერთი საუკუნის წინ, მთავარანგელოზის სახელობის ქუჩა მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიასთან მიგიყვანდათ. დღეს კი, ეკლესიის ნაცვლად "საეჭვო გარეგნობის" მქონე საცხოვრებელი სახლი დგას. ეჭვს შენობის პირველი ორი სართული ბადებს, რომელსაც ნათლად ეტყობა, რომ ეკლესიის კედლებია. გუმბათი მოხსნილია, მის ნაცვლად მესამე სართულია დაშენებული და, ეკლესიის შემორჩენილი კედლები რომ არა, ძნელად თუ დაიჯერებდა ვინმე, რომ გასული საუკუნის 30-იან წლებამდე ხალხი აქ სალოცავად დადიოდა და სანთლებს ანთებდა.

ძველი საბუთები მოწმობს, რომ ამ ტერიტორიაზე მთავარანგელოზის სახელობის ეკლესია და სასულიერო სემინარია ყოფილა. 1926 წლის დოკუმენტებში მხოლოდ ეკლესიის ეზოა ნახსენები, 1939 წელს კი შენობა საერთო საცხოვრებლად ჩაუწერიათ, რომელშიც მაშინდელი სატრანსპორტო გაერთიანების მუშები შეუსახლებიათ.

იქამდე, ეკლესიაში ჯერ პოლიკლინიკა, შემდეგ კი სასამართლო განუთავსებიათ. ეკლესიას ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებთან ერთად, პურის საცხობისა და ნავთის საწყობის დანიშნულებაც ჰქონია. ეს ყველაფერი კომუნისტებმა გუმბათის მოშლის შემდეგ განახორციელეს.

როგორც სემინარიის ეზოში მცხოვრებნი ამბობენ, ამ "რეკონსტრუქციის" ავტორი თავად სტალინი ყოფილა. სწორედ გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ქუჩას ფრანგი რევოლუციონერის რობესპიერის სახელი უწოდეს. 90-იანი წლების დასაწყისში ქუჩას კვლავ ძველი სახელი დაუბრუნეს, თუმცა დღემდე არავინ დაინტერესებულა, თუ რატომ ერქვა მას მთავარანგელოზის სახელი.

დღეს ეკლესიაში 15 ოჯახი, ხოლო სემინარიის ეზოში 7 ოჯახი ცხოვრობს. "დოგოვორით" შესახლებულების "დოგოვორს" ვადა 14 წლის წინ გაუვიდა. **"ჯერ კიდევ კომუნისტების დროს გვპირდებოდნენ აქედან გაყვანას, მაგრამ ქვეყანა აირია და ისევ აქ დავრჩით. მერე გამსახურდიას მთავრობა დაგვპირდა შავი ზღვის ქუჩაზე გაყვანას, ყველა საბუთი მზად იყო, მაგრამ თბილისის ომი დაიწყო..."** - გვითხრა 4 შვილის დედამ გრეტა მჭედლიშვილმა, რომელიც მეზობლების მსგავსად ერთ ოთახში ცხოვრობს.

ეკლესიის ბინადრებს კარგად ესმით თავიანთი ცოდვის სიმძიმე და როგორც თავად ამბობენ, "ნაყოფს" ხშირად იმკიან. **"უბედურებას უბედურება ემატება, ჩვენს ეზოში ბედნიერება უცხო ცნებაა,"** - გვითხრა 4 შვილის დედამ მალვინა გაბაძემ, რომელიც ეკლესიის სარდაფში ცხოვრობს და საცხოვრებელი ფართის კეთილმოწყობისას არაერთხელ წააწყდა საფლავის ქვებსაც და სამარხებსაც. საფლავის ქვებზე სიარული და სამარხების პოვნა იქაურებისთვის ჩვეულებრივი ამბავია, რადგან ეკლესიის ეზოში სასულიერო პირების საფლავები ყოფილა. **"ერთხელ მანქანამ გაიარა, მიწა ჩავარდა და საფლავი გამოჩნდა,"** - გაიხსენა ლია ოთარაშვილმა.

როგორც ასევე 4 შვილის დედამ დალი მელაძემ აღნიშნა, ეს შენობა წითელ ზოლშია მოქცეული, სტატუსი კი საერთო საცხოვრებლისა აქვს. **"არც პრივატიზაციის უფლებას გვაძლევენ. გვესმის, რომ ამ შენობის პრივატიზება დაუშვებელია, მაგრამ ჩვენი ყოფაც არანაირ ნორმაში არ ჯდება. მით უმეტეს, რომ ლაპარაკია ტერიტორიის შესყიდვაზე და ეკლესიის ადგილას ქარვასლის აგებაზე. ამ შემთხვევაში ეკლესიას არ დავთმობთ,"** - მეზობლების სახელით გვითხრა დალი მელაძემ.

მათ იციან, რომ სახელმწიფოს "დოგოვორი" ბევრ მოქალაქესთან აქვს დადებული. სხვების გაჭირვებაც ესმით, მაგრამ უკვირთ, მათი შემცოდებელი რომ არავინ არის. ყველა მათგანი მძიმე სოციალურ პირობებში ცხოვრობს, ოჯახში თითო ავადმყოფი ყველას ჰყავს. უმრავლესობა უმუშევარია, ძალიან უჭირთ, მაგრამ ყოფით პრობლემებზე არ საუბრობენ, რადგან მათი მთავარი პრობლემა "ცოდვის შვილობაა."

მათი "ცოდვა" კი საპატრიარქოს, სატრანსპორტო გაერთიანებისა და თბილისის მერიის შუა ტრიალებს. ყველაზე რთული მათთვის მთავარანგელოზობის დღესასწაულია, როდესაც მათ საცხოვრებელი სახლთან ხალხი მოდის, სანთელს ანთებს და კედელზე ამაგრებს.

"ღმერთმა გაახარა ის, ვინც ეკლესიის კედლები გარედან არ შელესა, - ამბობს ლია ოთარაშვილი და სიზმარს იხსენებს, - **ვნახე, დანგრეულ შენობასთან ვიდექი და კედელს ვერ ვპოულობდი, რომ სანთელი დამენთო. კაცი მოვიდა, აგური მომაწოდა და მითხრა, ამაზე აანთე, ესეც ამ შენობის იყოო. მ

"მწვანეები" სანიტრების წინააღმდეგ

თამარ მაისურაძე

"საცხოვრებელ სახლებს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები არაკანონიერად იშენებენ," - ეს ძველი ფრაზა გუშინ "საქართველოს მწვანეთა პარტიის" თავმჯდომარემ გიორგი გაჩეჩილაძემ გაიხსენა, როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები არაგვის ხეობაში, სანიტარულ ზონასთან 10-15 მეტრში მშენებარე სახლების მეპატრონეებად დაასახელა.

"მდინარე არაგვის ხეობაში, სადაც თბილისის წყალმომარაგების პირველი სანიტარული დაცვის ზონა მდებარეობს და საიდანაც დედაქალაქის სასმელი წყლით მომარაგება ხდება, ხელისუფლების წარმომადგენლები აგარაკებს იშენებენ," - განაცხადა მან გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე ინფორმაციით, პირველ სანიტარულ ზონაში ნებისმიერი სახის მშენებლობა - საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსება აკრძალულია. თუმცა, მიუხედავად ამისა, ამ ზონაში სამშენებლო პროცესი მაინც მიმდინარეობს.

"გაუგებარია, ამ აგარაკებიდან ფეკალური წყლები სად ჩაედინება, მაშინ, როცა ჟინვალი-თბილისის საკანალიზაციო წყლები ზედაპირულად მიედინება და ღია არხებით ისევ თბილისის წყალმომარაგების მთავარ არტერიაში, არაგვში იყონება," - აცხადებს გაჩეჩილაძე და თბილისისთვის დაბინძურებული სასმელი წყლის მიწოდების გამო, სანიტარიული ინსპექციის ხელმძღვანელის დავით მესხიშვილის გადაყენებას მოითხოვს.

"საქართველოს კანონმდებლობით, ქვეყნის ტერიტორიაზე სანიტარული ნორმების დაცვაზე, ინფექციური და სხვა მასობრივი დაავადებების პროფილაქტიკისთვის ღონისძიებების განხორციელებაზე კონტროლი ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს და მის სანიტარულ ინსპექციას ევალება. სწორედ სანიტარიული ინსპექცია გასცემს ჰიგიენურ დასკვნას დასახლებული ადგილების ცენტრალიზებული წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის და წყალმომარაგების წყაროების სანიტარიული დაცვის ზონების პროექტებზე," - თქვა გიორგი გაჩეჩილაძემ, რის შემდეგაც საქართველოს "მწვანეების" მოთხოვნები ჩამოთვალა: **"შეჩერდეს სანიტარიული დაცვის ზონაში მიმდინარე მშენებლობები. ლიკვიდირებულ იქნეს სოფელ ჭოპორტთან განლაგებული, თბილისის წყალმომარაგების სათავე ნაგებობების სანიტარიული დაცვის ზონაში არსებული აგარაკები."**

სანიტარიული ინსპექციის ხელმძღვანელი "მწვანეების" გუშინდელ განცხადებას მის მიმართ პიროვნულ დაინტერესებად აფასებს და აცხადებს, რომ არაგვის ხეობაში მშენებლობა ბოლო 20 წლის განმავლობაში მიმდინარეობს. **"გუშინდელი განცხადება არაკომპეტენტურმა პირებმა გააკეთეს. ამ შემთხვევაში სანიტარიული ინსპექციის დადანაშაულება არასწორია, რადგან ნებართვებს სანიტარიული ინსპექცია არ გასცემს. რაც შეეხება სანიტარიული ზონის დაცვას, ამ შემთხვევაში მკაცრად დადგენილი წესები არ არსებობს, ზონა ინდივიდუალურად, ნიადაგის შესწავლის შედეგად დგინდება."**

რაც შეეხება "მწვანეთა პარტიის" მოთხოვნებს, მესხიშვილი აცხადებს, რომ 2005 წლის 2 აპრილს საქართველოს მთავრობამ გასცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, სანიტარიული დაცვის ზონებში მიმდინარე მშენებლობები, მოსახლეობისთვის შესაბამისი კომპენსაციების გაცემის შემდეგ, შეწერებულ უნდა იქნეს.

"წყალი, რომელსაც თბილისის მოსახლეობა სვამს, სრულ კონტროლზეა აყვანილი და სანიტარიულ ნორმებს აბსოლუტურად შეესაბამება. ამდენად, მისი დალევა ჩვენი მოსახლეობის ჯანმრთელობას საფრთხეს არ უქმნის," - აცხადებს დავით მესხიშვილი.

ტრაგედია "მერვე პოლკში"

პირველი გვერდიდან

გურანდა ბახტაძის ფოტო

80 წელს მიღწეული გერმანე კოშელოვი გუშინ დილით, სახლიდან რძის მოსატანად გავიდა. უკან დაბრუნებულს სახლი ჩამონგრეული დახვდა. ამ დროს ბინაში მისი მეუღლე ეკატერინე კოშელოვი იმყოფებოდა, რომლის ნანგრევებიდან ამოყვანაც მაშველებმა საღამომდე ვერ მოახერხეს. მესამე სართულზე მცხოვრები ქეთევან ბოკუჩავა-ნადარეიშვილი სახლში დილის 6 საათისთვის დაბრუნდა. მეზობლების თქმით, იგი ერთ-ერთ კაფეში ოფიციანტად მუშაობდა და სამსახურიდან სწორედ ამ დროს ბრუნდებოდა. უბედური შემთხვევის მომენტში ოჯახში, ქეთევანის გარდა, ოჯახის სხვა წევრები არ იმყოფებოდნენ. მისი ამოყვანა მაშველებმა შუადღეს შეძლეს.

როგორც ისანი-სამგორის რაიონის გამგებელმა გიორგი ქორქაშვილმა განაცხადა, მათ რაიონში 200-მდე ასეთი ტიპის სახლები, ანუ ე.წ "ხრუშჩოკებია". მათი უმრავლესობა ავარიულია, თუმცა მწირი ბიუჯეტის გამო, ამ სახლების შეკეთება ვერ ხერხდება.

"ეს სახლები ნახევარი საუკუნის წინათაა აგებული. მათი აშენების მომენტშივე, ამ სახლების ექსპლუატაციის ვადა 30, 40 წელიწადით იყო განსაზღვრული. აქედან გამომდინარე, ამ ბინებიდან თითქმის ყველა ავარიულია. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ჩამოინგრა სახურავის ფილა, რომელმაც ხუთივე სართული ჩაიტანა. ჩამონგრევის მიზეზად სახლის სიძველე სახელდება. იყო გეოლოგიური პრობლემებიც, თუმცა ზუსტი შესწავლა ჯერ არ მომხდარა. გამგეობამ 17-მდე ოჯახს უკვე მოუნახა დროებითი თავშესაფარი. ისინი ჩვენ მიერ ნაქირავებ ბინებში გადავლენ დროებით საცხოვრებლად. მთელს რაიონში ოთხი ათასამდე ავარიული სახლი გვაქვს, აქედან 500-მდე სახლი მესამე კატეგორიას განეკუთვნება. სამწუხაროდ, ჩვენი ბიუჯეტი მათი შეკეთების შესაძლებლობას არ გვაძლევს. მათგან უმეტესობა კი შეკეთებას საერთოდ აღარ ექვემდებარება," - აღნიშნა "24 საათთან" საუბრისას გიორგი ქორქაშვილმა.

რაიონის ბიუჯეტში თანხები მხოლოდ ხუთსართულიანი სახლების შესაკეთებლადაა ჩადებული. მაღალსართულიანი კორპუსების შეკეთება კი ქალაქის ყოფილი საბინაო სამმართველოს კომპეტენციაა.

"სახლების გასამაგრებლად რაიონის ბიუჯეტში მილიონზე მეტი ლარია გათვალისწინებული, თუმცა, სამწუხაროდ, თავად ასეთი სახლების რაოდენობაა ძალიან ბევრი. საინვესტიციო პროგრამა გვაქვს შემუშავებული, რომელიც ხუთსართულიანი სახლების დანგრევას და მათ ნაცვლად ახალი ბინების მშენებლობას ისახავს მიზნად," - განაცხადა ქალაქის პრემიერმა თემურ ქურხულმა, რომელმაც უარყო მუნიციპალიტეტისთვის წაყენებული ბრალდება, თითქოს ბინების შესაკეთებლად გამოყოფილი თანხები ფასადების შეღებვას ხმარდებოდეს. **"ფასადების შეღებვა ცალკე თანხებია გამოყოფილი. გასამაგრებელი სამუშაოები ტენდერის გამო არის შეჩერებული. მთელს ქალაქში 22 ათასი ავარიული სახლი გვაქვს და ამდენ ავარიულ სახლზე რა თანხები გვეყოფა? აქედან ოთხი ათასი სახლი მწვავე ავარიულია,"** - აღნიშნა ქურხულმა.

იგივე სიტყვების გამეორება უხდებოდა მოსახლეობისთვის გუშინ თბილისის მერს გიგი უგულავასაც. ონაშვილის ქუჩის მცხოვრებლები ქალაქის მერისგან ბინების შეკეთებასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას ითხოვდნენ.

"მხოლოდ გამაგრებითი სამუშაოების ჩატარებით ავარიული სახლების პრობლემას ვერ მოვაგვარებთ. ეს ბინები დასაშლელი და ხელმეორედ ასაგებია. კომერციული ინტერესების გაზრდა უნდა მოვახერხოთ, რაც ხელოვნური სტიმულირების გარეშე წარმოუდგენლად მიგვაჩნია. კერძო მენაშენეებს კარგი პირობები უნდა შევუქმნათ. ხვალვე მზად ვიქნები, თუკი რომელიმე მენაშენე აქ მშენებლობას დაიწყებს. სანამ მშენებლობა იქნება, მოსახლეობის ქირით გაყვანას ჩვენ უზრუნველვყოფთ," - ასეთია ქალაქის მერის მიდგომა ავარიული სახლების პრობლემასთან დაკავშირებით.

ქუთაისის ავტოქარხანა აუქციონზე გამოდის

ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ გუშინ "ქუთაისის ავტოქარხნის" ნაწილ-ნაწილ გაყიდვა დაიწყო. სახელმწიფო ბიუჯეტი ავტოქარხნის ყოფილი ქონების გაყიდვიდან 3 მილიონ დოლარზე მეტი თანხის მობილიზებას გეგმავს.

იყიდება ქარხნის ამკრეფ-ჩამბარებელი კორპუსი, თავისი მიწის ნაკვეთით, რომლის საწყისი ღირებულება 2 539 000 დოლარია. იყიდება ავტოქარხნის ყოფილი, გასაღების საწყობი და მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთი, რომელიც 205 000 დოლარად არის შეფასებული. ასევე, გაყიდვაშია ავტოქარხნის ყოფილი, მომარაგების საწყობი მიწის ნაკვეთიანად, რომელიც 170 000 დოლარადაა შეფასებული და ქარხნის ყოფილი ნავთობბაზა, მასზე დამაგრებული მიწის ნაკვეთით, რომელიც 55 000 დოლარად შეფასდა. ყოფილი ავტობაზის (თავისი მიწის ნაკვეთით) საწყისი ღირებულება 41 000 დოლარია.

აუქციონი 25 ოქტომბერს 16:00 საათზე ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გაიმართება. განაცხადები კი 24 ოქტომბრის 17:00 საათამდე მიიღება.

გარდა ამისა, იყიდება ქუთაისის ლითოფონების ქარხანა. საწარმო, რომლის საწესდებო კაპიტალში სახელმწიფო წილი 50,99 პროცენტია, მილიონ აშშ დოლარადაა შეფასებული. ქარხანა აუქციონის წესით გაიყიდება. განცხადებების შეტანა ეკონომიკური განვითარების სამინისტროში გუშინ დაიწყო.

გუშინვე დაიწყო განაცხადების მიღება "მადნეულის" (შვილობილ კომპანიებთან ერთად) შესყიდვის მსურველთაგან. განაცხადების მიღების ბოლო ვადა 24 ოქტომბერს ამოიწურება. საწარმო კი, კონკურსის წესით, 25 ოქტომბერს გაიყიდება. შეგახსენებთ, რომ მისი საწყისი გასაყიდი ფასი 32,5 მილიონი დოლარია. საწარმოს კრედიტორული დავალიანება 18 მილიონ ლარს, ხოლო დებიტორული - 43 მილიონ ლარს შეადგენს. ამ სამი თვის წინ, ინტერესთა გამოხატულების კონკურსზე, საწარმოს მიმართ დაინტერესება 22-მა კომპანიამ გამოთქვა.

24 საათი

მსოფლიოს ნავთობგიგანტი საქართველოში სამოლვაწეო არეალის გაფართოებაზე ფიქრობს

"ანადარკო" საქართველოში დამატებითი სალიცენზიო ბლოკების დასამუშავებლად ემზადება

დიანა ჩარეა

ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელი სააგენტო, ნავთობისა და გაზის რესურსების განვითარებისა და ძიების უფლების მოსაპოვებლად, მალე ახალ ტენდერს გამოაცხადებს. ტენდერზე, სხვა სალიცენზიო ბლოკებთან ერთად, შავი ზღვის შელფის ნაწილიც გავა. ამ უკანასკნელის მიღების ერთ-ერთი მსურველი ამერიკული ნავთობკომპანია "ანადარკოა". მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ხუთწლიანი საქმიანობის შედეგად, კომპანიას ჯერჯერობით ბურღვა არ დაუწყია და მხოლოდ ნავთობის ძიებითაა დაკავებული, კომპანია ძალზე ოპტიმისტურადაა განწყობილი. "ანადარკოს" მიერ შავი ზღვის შელფზე ჩატარებულ კვლევებზე, სამომავლო გეგმებზე, პროგნოზებზე, საქართველოს მარეგულირებელ ორგანოებში მოსალოდნელ რეფორმებზე და სხვა თემებზე "24 საათს" ნავთობკომპანიის გენერალური დირექტორი ჯონ ედჯი ესაუბრა.

- ბატონო ჯონ, "ანადარკოს" კონტრაქტით ეკუთვნის აფხაზეთის ტერიტორიის მომიჯნავე სალიცენზიო ბლოკები. რა გეგმები გაქვთ ამ ბლოკებთან დაკავშირებით?

- ჩვენი სალიცენზიო ბლოკების ნახევარზე ოდნავ ნაკლები ფორსმაჟორულ ზონაშია, ანუ არაკონტროლირებად - აფხაზეთის ტერიტორიაზე მდებარეობს. შესაბამისად, ამ ტერიტორიაზე ვერ შევდივართ. რა თქმა უნდა, მიგვაჩნია, რომ ეს საქართველოს წყლებია, მაგრამ, ფორსმაჟორის გამო, არ გვაქვს იქ სამუშაოების ჩატარების საშუალება.

- რამე ინფორმაცია თუ გაგაჩნიათ აფხაზეთის ტერიტორიის მომიჯნავე სალიცენზიო ბლოკების შესახებ?

- ჩვენს ხელთ არსებული ერთადერთი ინფორმაცია ქართველ მეცნიერებს ეკუთვნით. მათი განცხადებით, ჩვენი ბლოკებიდან ჩრდილოეთით ნავთობისა და გაზის სერიოზული მარაგებია. სხვა ინფორმაცია "ანადარკოს" არ გააჩნია.

- რამდენად გამართლებულია თქვენი კომპანიისთვის ასეთ შეუსწავლელ ბლოკებზე შესვლასთან დაკავშირებული რისკი?

- ის, რომ ხუთი წლის განმავლობაში არ გაგვიბურღავს, არ ნიშნავს, რომ ეს არ გვინდა, ან არ ვაპირებთ. ღრმა წყლებში ოპერაციების ჩატარება დიდ დროს და ხარჯებს მოითხოვს. ამასთან, ბურღვასთან დაკავშირებით არის გარკვეული გასათვალისწინებელი ფაქტორები, მათ შორის, საბურღო დანადგარების დაქირავების პრობლემა. მათზე დიდი მოთხოვნაა და კონტრაქტების დადება ძნელდება. თუმცა, მაინც ოპტიმისტებად ვრჩებით.

მართალია, უკვე ჩატარებული სამუშაოები ამ ადგილების პერსპექტიულობაზე ლაპარაკობს, მაგრამ რისკი მაინც ძალიან დიდია. შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ჭაბურღილი არსად არ არის, რაც იმას ნიშნავს, რომ აქ გაურკვეველი და, შესაბამისად, რისკიანი სიტუაციაა. თუმცა, გარკვეული სამუშაოების ჩატარების შემდეგ, ჩვენი ოპტიმიზმი მატულობს.

- რაც შეეხება "ანადარკოს" დაინტერესების არეალში ადრე მოქცეულ საქართველოს სალიცენზიო ბლოკებს, "ანადარკო" იქ რა სახის სამუშაოებს აწარმოებს?

- სალიცენზიო ბლოკების დანარჩენ ტერიტორიებზე კომპანიამ ორგანზომილებიანი და სამგანზომილებიანი სეისმური კვლევები, აერომაგნიტური გამოკვლევა და, ასევე, სველე სამუშაოები ჩაატარა. ამ ეტაპზე, ჩვენ სამგანზომილებიანი სეისმური კვლევების მონაცემებს ვამუშავებთ, რაც ალბათ მომავალ წლამდე გასტანს. მომავალ წელს კი "ანადარკო" და მისი პარტნიორები მიიღებენ გადაწყვეტილებას, გაბურღონ თუ არა საძიებო ჭაბურღილები.

- როგორია თქვენი პროგნოზები?

- "ანადარკო" ძალიან ოპტიმისტურადაა განწყობილი. თუმცა, საბოლოო, სწორი გადაწყვეტილების მისაღებად დრო გვჭირდება.

- როგორია კომპანიის სამომავლო გეგმები?

- უახლოეს მომავალში დამატებით სალიცენზიო ბლოკებზე ტენდერი გამოცხადდება. ამ შემთხვევაში, ჩვენ ინტერესს შავ ზღვაში მდებარე სალიცენზიო ბლოკებზე გამოვხატავთ.

- რა ოდენობის ინვესტიცია განახორციელა "ანადარკომ" საქართველოს შავი ზღვის შელფის სალიცენზიო ბლოკებზე?

- ეს მონაცემები კონფიდენციალურია. უბრალოდ, გეტყვით, რომ საქართველოში "ანადარკომ" ძალიან დიდი ინვესტიცია განახორციელა.

- რას გვეტყოდით თქვენს პარტნიორ კომპანიებზე, რომლებთან ერთადაც შავი ზღვის შელფზე საქმიანობთ?

- "ანადარკოს" სამი პარტნიორი ჰყავს: "ბი-პი", "შევრონი" და თურქული ნავთობკომპანია "TPAO". სამივე კომპანია ძალიან სერიოზული პარტნიორია, როგორც ფინანსური თვალსაზრისით, ისე ტექნიკურად. როდესაც საქმე ღრმა წყლებში საძიებო სამუშაოებს ეხება, ძლიერი პარტნიორების ყოლა აუცილებელია.

- დსთ-ს სივრცეში, საქართველოს გარდა, "ანადარკო" კიდევ სად აწარმოებს ნავთობის საძიებო სამუშაოებს?

- ჩვენ დაინტერესებულნი ვართ, ნავთობის საძიებო სამუშაოები დავიწყოთ შავი ზღვის სხვა რეგიონებში, ასევე რუსეთში და ყაზახეთში. ამ ეტაპზე, დსთ-ს სივრცეში "ანადარკო" აქტიურ საძიებო სამუშაოებს მხოლოდ საქართველოში აწარმოებს.

- რამდენად გიწყობთ ხელს საინვესტიციო გარემო?

- საქართველოს ნავთობის და გაზის სექტორში ერთ-ერთი ყველაზე მიმზიდველი ისაა, რომ აქ ნავთობის და გაზის სფეროს მარეგულირებელი წესები მოქმედებს. ეს წესები არა მარტო გარკვეულ ფარგლებში სვამს კომპანიების საქმიანობას, არამედ საქართველოს მოსახლეობასაც ეხმარება, რადგან მათში კარგად არის გადმოცემული გარემოს დაცვასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები.

- აქვს თუ არა თქვენთვის, როგორც ინვესტორისთვის, გადამწყვეტი მნიშვნელობა მარეგულირებელი სტრუქტურის დამოუკიდებლობის ხარისხს?

- ინვესტორებისთვის მარეგულირებლების დამოუკიდებლობა იმას ნიშნავს, რომ ჩვენი საქმიანობის რეგულირება ხდებოდეს წმინდა მარეგულირებელი წესებით და არავითარ შემთხვევაში არ ვაწყდებოდეთ პოლიტიკურ ინტერესებს. ასე რომ, ამ კუთხით სააგენტოს დამოუკიდებლობა მისასალმებელი და სასურველია.

"გაგვიბრაზდა" თუ არა "გაზპრომი"?

"გაზექსპორტის" წარმომადგენელი ქართულ მხარეს "გაზპრომის" მიმართ პოზიციების შეჯერებას სთხოვს

"გაზპრომის" სათავო ოფისში ამ ცოტა ხნის წინ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მიერ გამართული წარუმატებელი მოლაპარაკებების შემდეგ რუსული ენერგოგიგანტი საუბრის ტონს ამკაცრებს. საუბარი, როგორც წესი, გაზის მოწოდების შეწყვეტა-განახლების ენაზე მიმდინარეობს. ცნობილი წერილი კი, რომლითაც "გაზპრომის" შვილობილი "გაზექსპორტი" "თბილგაზისთვის" გაზის მოწოდების 30 პროცენტით შემცირების თაობაზე იტყობინება, მორიგი სკანდალის მიზეზი ხდება: ენერგეტიკის მინისტრს წერილის ნამდვილობაში ეჭვი შეაქვს და აცხადებს, რომ თბილისს გაზის მოწოდება არ შემცირებია. ერთი სიტყვით, რთული მისახვედრია, გაგვიბრაზდა თუ არა "გაზპრომი". თუმცა, აქვე უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ყველაფერი საქართველო-"გაზპრომს" შორის მიმდინარე ვაჭრობის ფონზე ხდება: როგორც ცნობილია, გაზის ტარიფის 110 დოლარამდე მომატების სანაცვლოდ, ქართული მხარე სომხეთში გაზის სატრანზიტო ტარიფის გაზრდას აპირებს. რა ნიშნულებზე დაფიქსირდება ტარიფები, ჯერჯერობით, უცნობი რჩება. კულუარული ინფორმაციით, აქამდე 60 დოლარად ღირებული გაზის ტარიფის 90 დოლარამდე გაძვირება მაინც არ აგვცდება.

მაია ურუშაძე

გაზექსპორტის გენერალური დირექტორის მოადგილის მიერ "გაზპრომის" სხვა სტრუქტურებისა და საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის თავკაცის მისამართით გამოგზავნილი წერილის თანახმად, თბილისს გაზის მოწოდება 20 სექტემბრიდან უნდა შემცირებოდა, თუმცა დედაქალაქს "ცისფერი ოქროს" დეფიციტი, ჯერჯერობით, არ უგრძვნია. მიუხედავად ამისა, გაზის მოწოდებაში მაღე სერიოზული შეფერხებები თუ გაჩნდება, მოულოდნელი არ უნდა იყოს. "გაზექსპორტის" ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში დავით მორჩილაძე აცხადებს, რომ პრობლემების თავიდან ასაცილებლად საჭიროა, "გაზპრომთან" მოლაპარაკებები უფრო ინტენსიურ რეჟიმში გადავიდეს.

პასუხად, ენერგეტიკის მინისტრი "24 საათთან" საუბრისას აცხადებს, რომ მოლაპარაკებები ისედაც ინტენსიურად მიმდინარეობს. "მოლაპარაკებები ჯერ მხოლოდ დაიწყო და ის 2-3 თვეს გატანს. "გაზპრომის" ხელმძღვანელობასთან საკმაოდ ნორმალური ურთიერთობები დამყარდა და ჩვენ საუბარი გრძელვადიან - 5-15-წლიან კონტრაქტზე, "თბილგაზის" დავალიანების დაფარვის გრაფიკზე, საქართველოსთვის "გაზპრომის" გაზის ტარიფზე, საქართველოს გავლით სომხეთში გაზის სატრანზიტო ტარიფსა და ყაზახეთიდან რუსეთის გავლით გაზის საქართველოსკენ ტრანზიტის ტარიფზე გვაქვს. ეს უკანასკნელი თემა ყაზახეთიდან 2006 წლის 1 იანვრიდან იმ გაზის შემოტანას ეხება - ამ თემაზე მე და ყაზახეთის ენერგეტიკის მინისტრი შევთანხმდით," - განაცხადა ნიკა გილაურმა. თუმცა, ენერგეტიკის მინისტრი ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებს, რა ტარიფი შეიძლება დაუფიქსიროს საქართველოს "გაზპრომმა", ან რა ტარიფი შეიძლება შესთავაზოს რუსულ ენერგოგიგანტს საკუთარი გაზის სომხეთში გასატანად.

ამ დროს კი მორჩილაძე ქართულ მხარეს სთავაზობს, კარგად ჩამოაყალიბოს საკუთარი დამოკიდებულება "გაზპრომის" მიმართ. **"მთავრობამ, ექსპერტებმა, პარლამენტმა, უშიშროებამ, მედიამ, საზოგადოებამ უნდა ჩამოაყალიბოს ერთიანი პოზიცია - რა გვსურს ჩვენ "გაზპრომისგან" და რისი გაღება შეგვიძლია სანაცვლოდ, იქნება ეს საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობის შეთავაზება არაკომერციული დაბალი ტარიფის სანაცვლოდ (რა საინვესტიციო წინადადებებს მოამზადებს "გაზპრომისთვის" შესათავაზებლად, მთლიანად ქართული მხარის საქმეა) თუ სხვა რამ, გვაწყობს თუ არა "გაზპრომთან" საუბარი გრძელვადიან კონტრაქტებზე, გვაწყობს თუ არა ტრანზიტი სომხეთში და ა.შ. საკითხი, გვაწყობს თუ არა "გაზპრომთან" ურთიერთობა საერთოდ, ბუნებრივია, დღის წესრიგში არ დგას, რადგან ის დღეს ჩვენი ერთადერთი ექსკლუზიური მომწოდებელია და უახლესი რამდენიმე წლის განმავლობაში დარჩება კიდეც - ეს რეალობაა, რომელსაც ვერსად გავექცევით, გვინდა ეს თუ არა. საუბარი იმაზე, რომ ბაქო-ერზრუმის მილსადენიდან გაზის ტრანზიტით მიღებული კვოტა გვიშველის, არასერიოზულია. გაზის ის მოცულობა, რაც აქედან საჩუქრად და, თუნდაც, შეღავათით გვერგება, იმაზე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე სინამდვილეში გვჭირდება. ამ დროს კი "გაზპრომი" შეიძლება კარგი პარტნიორი იყოს. თუმცა, მასთან სასაუბროდ საჭიროა სერიოზული წინადადებები. მთავარი, რაც შეიძლება ქართულმა მხარემ "გაზპრომისგან" მიიღოს, ეს არის ენერგომომარაგების სტაბილურობა, ეს კი ხანგრძლივი კონტრაქტით შეიძლება უზრუნველვყოთ. გარდა ამისა, მგონი, ეჭვი არავის ეპარება იმაში, რომ საქართველომ მაქსიმალურად უნდა გამოიყენოს თავისი სატრანზიტო შესაძლებლობები. თუ ჩვენ სომხეთში ტრანზიტის გაუგებარ, არაკომერციულ ტარიფებს შევთავაზებთ, ტრანზიტი არ შედგება და ტრანზიტულ ფუნქციას დავკარგავთ. ანუ, სომხეთში ტრანზიტი არის ის თემა, რომელიც ჩვენთვის ერთმნიშვნელოვნად სასარგებლოა. "გაზპრომს" სჭირდება, მიაწოდოს გაზი სომხეთს, ჩვენ კი გვჭირდება, რომ ეს ჩვენი გავლით მოხდეს,"** - აცხადებს მორჩილაძე.

თუმცა, დამოუკიდებელ ექსპერტ თემურ გოჩიტაშვილს ეჭვი ეპარება, რომ რუსეთი ტრანზიტის სხვა გზას იპოვის. **"როგორ? სხვა გზა არ არსებობს. ირან-სომხეთის მილსადენი ჯერ არ დასრულებულა,"** - აცხადებს ექსპერტი.

მორჩილაძე ირწმუნება, რომ "გაზპრომს" საქართველოში მხოლოდ კომერციული ინტერესი აქვს. **"ის, რომ ჩვენ ვართ მყიდველები და "გაზპრომი" არის გამყიდველი, ეს უკვე არის "გაზპრომისთვის" ის, რაც ჩვენგან მას აკმაყოფილებს. ანუ, მოკლედ, ბაზარი. არც ისე დიდი, რომ მან "გაზპრომის" ბაზარს რაიმე შემატოს ან მოაკლოს, მაგრამ მაინც. "გაზპრომს" აქ ბიზნესის კეთება უნდა."**

იმავე მოტივაციით, რომ "გაზპრომს აქ ბიზნესის კეთება უნდა", ექსპერტი თემურ გოჩიტაშვილი ფიქრობს, რომ "გაზპრომთან" შეთანხმების მიღწევა რთული არ უნდა იყოს. **"მთავარია, ჩვენ ვაღიაროთ, რომ ის ფასი, რომლითაც გაზს აქამდე ვიღებდით, მართლაც დაბალი იყო. ეკონომიკური გათვლებით, "გაზპრომის" მხრიდან საქართველოსთვის გაზის ტარიფის 80-დან 100 დოლარამდე ნიშნულზე დაფიქსირება მიზანშეწონილი უნდა იყოს. ასე რომ, თუ ქართული მხარე ეკონომიკურად დასაბუთებულ ტარიფს შესთავაზებს, არა მგონია, პრობლემა შეიქმნას,"** - აცხადებს ექსპერტი და გაზის საფასურის მომატებას გარდაუვალად მიიჩნევს.

რაც შეეხება იდეას, "გაზპრომის" საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობის თაობაზე, გოჩიტაშვილი აცხადებს, რომ **"ქვეყანაში ნებისმიერი ინვესტორის შემოშვება საინტერესოა, თუმცა თუ ინვესტორს მილსადენების პრივატიზება შესთავაზეს, საშიშია. თუ ეკონომიკური თვალსაზრისით გამართლებულ, არასტრატეგიულ ობიექტებში შემოსვლაზე იქნება საუბარი - სიამოვნებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს იქნება დათმობა "გაზპრომის" და დისკრიმინაცია - სხვა პოტენციური ინვესტორი კომპანიების მიმართ. ეკონომიკური კანონია: წინასწარ არავის უნდა მისცე პრიორიტეტი, ასე რომ, "გაზპრომს" შეუძლია, ესეც გაითვალისწინოს"...**

P.S. ბოლო ინფორმაციით, გუშინ, გვიან საღამოს "თბილგაზმა" უკვე ოფიციალურად შეატყობინა "გაზექსპორტს", რომ ვალებს წლის ბოლომდე დაფარავს.

განცხადება

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს 2005 წლის 13 სექტემბერის განცხადებაში ღია ტენდერის შესახებ ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სატენდერო კომისიის მიერ 2005 წლის 13 სექტემბერის გაზეთში "24 საათი" კომპიუტერული მოწყობილობების შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ღია ტენდერის განცხადებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

განცხადების პირველი აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"საქონლის შემსყიდველისათვის მიწოდების სასურველი ვადაა არა უგვიანეს 2005 წლის 20 ოქტომბერი"

განცხადებას დაემატოს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

სატენდერო წინადადების შეფასებას სატენდერო კომისია განახორციელებს შემდეგი კრიტერიუმებისა და პრიორიტეტულობის კოეფიციენტების საშუალებით:

დადების საერთო ფასი	0.6
ნლის მიწოდების ვადები	0.4
სულ:	1.0

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს
სატენდერო კომისია
23 სექტემბერი 2005

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიაში წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე, ცესკოს თავმჯდომარის განკარგულებით რეგისტრაცია გაუუქმდათ საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 2 ნოემბრის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული 2005 წლის 1 ოქტომბრის ხელახალ და შუალედურ არჩევნებში მონაწილე შემდეგ კანდიდატებს:

ჯემალ მაკარაძეს, რომელიც წარდგენილი იყო N79 ბათუმის საარჩევნო ოლქში პოლიტიკური მოძრაობის "თავისუფლება" მიერ (განკ.N044/02).

ზურაბ ზოიძეს, რომელიც წარდგენილი იყო N82 შუახევის საარჩევნო ოლქში პოლიტიკური მოძრაობის "თავისუფლება" მიერ (განკ. 045/02).

შალვა გაბრიაძეს, რომელიც წარდგენილი იყო N57 ტყიბულის საარჩევნო ოლქში "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" მიერ (განკ. N046/02).

მერაბ კაჭახიძეს, რომელიც წარდგენილი იყო N5 ისნის საარჩევნო ოლქში "საქართველოს კონსერვატიული პარტიის" მიერ (განკ. N047/02)

განკარგულებები გამოქვეყნებულია ცესკოს ვებ-გვერდზე www.cec.gov.ge.

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით **ცაგერის რაიონის სოფელ ქვედა ცაგერის სკოლის რემონტი.**

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

სოფელ ქვედა ცაგერის სათემო კავშირთან "ქვედა ცაგერი", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ქვედა ცაგერი"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ცაგერის რაიონი,
სოფელ ქვედა ცაგერის სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი დავით კოპალიანი, სათემო კავშირი "ქვედა ცაგერი"-ს თავმჯდომარე.

2005 წლის 28 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, ცაგერის რაიონი,
სოფელ ქვედა ცაგერი სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი დავით კოპალიანი, სათემო კავშირი "ქვედა ცაგერი"-ს თავმჯდომარე
2005 წლის 28 ოქტომბრის 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

სსიფ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND GSIF

განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო სესხი და აპირებს დაფინანსოს სესხის ნაწილით ტერჯოლის რაიონის სოფელ ვარდიგორას არასრული საშ. სკოლის შენობის რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება

სოფელ ვარდიგორის სათემო კავშირთან "ვარდიგორა", რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"ვარდიგორა"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თერჯოლის რაიონი,
სოფელ ვარდიგორას სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი თენგიზ გიორგაძე, სათემო კავშირი "ვარდიგორას"-ს თავმჯდომარე.

2005 წლის 27 სექტემბრიდან 10-დან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს **20 (ოცი)** ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით **1 800** ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, თერჯოლის რაიონი
სოფელ ვარდიგორას სკოლის შენობა
საკონტაქტო პირი თენგიზ გიორგაძე, სათემო კავშირი "ვარდიგორას"-ს თავმჯდომარე.
2005 წლის 27 ოქტომბერი 14 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **14:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03

ლაშა და კონფლიქტები

FM ცნობა 98.0

მამუკა არეშიძე: მოვლენების განვითარების ლოგიკით რომ ვიმსჯელოთ, ეს ინციდენტი სამივე მხარეს შეიძლება აწყობდეს. მაგრამ ცხადია, ყველაფერი შედარებითია და საქართველოს, წესით, ყველაზე ნაკლებად აწყობდა ეს სიტუაცია. ოსური მხარის დაინტერესება აჟიოტაჟის შექმნა იქნებოდა, რუსეთისთვის კი ეს იქნებოდა კარგი საბაბი, რაღაც მსგავსი აზრის გასავრცელებლად - ხომ ხედავთ გვესვრიან.

რაც შეეხება ქართულ მხარეს, თვითონ ხელისუფლებაში არის დაპირისპირებული რგოლები. არ არის გამორიცხული, რომ თავდაცვის მინისტრის იმდღევანდელი ვიზიტი გამოყენებული ყოფილიყო მის საწინააღმდეგოდ და ვიღაცას ეთქვა მსგავსი რამ - აი, ჩავიდა ოქრუაშვილი და გაისროლა.

ლაშა ბუღაძე: თუმცა, მინისტრის იქ გამოჩენა პოზიტიური იყო. მოსახლეობა დამშვიდდა. ანუ, ეს იყო ერთგვარი მანევრი.

მამუკა არეშიძე: ეს ნამდვილად იყო სახელისუფლებო მანევრი, რომელმაც შედეგი გამოიღო, ხალხი ოქრუაშვილის ჩასვლამ დაამშვიდა. რაც შეეხება ოსების დაშინებას, მათ ძალიან უყვართ შეშინებულის როლის თამაში. არადა, არაფრისაც არ ეშინიათ, მათ ძალიან კარგად იციან, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ ნაბიჯს არ გადადგამდა, თუ არა ვინმე თავზეხელაღებული.

ლაშა ბუღაძე: შეგვიძლია თუ არა, განვსაზღვროთ, რა მოვლენაა საერთოდ ედუარდ კოკოითი?

მამუკა არეშიძე: ედუარდ კოკოითი არის ერთი ჩვეულებრივი ცხინვალელი ბიჭი, არცთუ დიდი განათლებით, რომელმაც კომკავშირული კარიერა აირჩია და ქართველების დიდი დახმარებით კარგი თანამდებობაც მოიპოვა. იყო მოჭიდავე. რაღაც მომენტში ის დასჭირდა თედეევების კრიმინალურ ჯგუფს, რათა მოეშორებინათ ჩიბიროვი და მისი ბიზნესი ხელში ჩაგდებოდთ. ბიზნესი იყო ერგნეთის ბაზრობის ის ნაწილი, რომელსაც ოსური მხარე აკონტროლებდა; იყო ტრასა, რომელზეც კონტრაბანდა მოძრაობდა და იყო მაშინ პოპულარული და ეფექტური სპირტის ბიზნესი. ძმებმა თედეევებმაც მოახდინეს ფულის მობილიზაცია, მოიშორეს ჩიბიროვი და დასვეს კოკოითი.

მეორე საკითხია, ვინ არიან თედეევები: იბრაგიმ თედეევი ჩვეულებრივი ბანდიტია, მისი უფროსი ძმა ჯამბულა რუსეთის კლასიკური სტილით მოჭიდავეთა ნაკრების უფროსია. ერთი გახდა უშიშროების საბჭოს მდივანი და მეორე მოსკოვიდან აკონტროლებდა სიტუაციას. მერე მოხდა დაპირისპირება, ამათ მთელი ბიზნესის და ადმინისტრაციული მექანიზმების ხელში ჩაგდება მოინდომეს, რამდენჯერმე ფიზიკურადაც შეეხნენ კოკოითს, ერთხელ მსგავსი შემთხვევა მის კაბინეტშიც კი მოხდა. ამის შემდეგ კოკოითმა, რა თქმა უნდა, სწორი ნაბიჯი გადადგა სახელმწიფოებრიობის პრინციპებიდან თავისებურად გამომდინარე და მოახდინა ამ ჯგუფის მთლიანი ლიკვიდაცია.

თუმცა, მსგავსი კლანები დღემდე არიან. საერთოდ კავკასიური მენტალიტეტია კლანზე დაფუძნებული. როგორც ქურდული ინსტიტუტი ხელოვნურად გაფეტიშა კომუნისტურმა მმართველობამ, ისევე გააფეტიშეს კლანური ინსტიტუტიც. სხვანაირად წარმოუდგენელიც იყო კავკასიის და შუა აზიის რესპუბლიკების მართვა.

ლაშა ბუღაძე: საინტერესოა, რამდენად აქტიურია საქართველო საინფორმაციო ბერკეტების თვალსაზრისით. ფაქტია, რომ რუსული საინფორმაციო წყაროები ბევრად უფრო სწრაფად აღწევენ სასურველ შედეგს, ვიდრე საქართველოს ხელისუფლება.

მამუკა არეშიძე: სანამ ახლანდელ ხელისუფლებამდე მივალთ, უნდა აღვნიშნოთ, რომ საინფორმაციო ომი საქართველოს წინა ხელისუფლებამ წააგო ნებაყოფლობით. მათ ჰქონდათ ქურთების და ჩეჩნების მაგალითი, რომლებმაც უმძლავრესი საინფორმაციო ცენტრები შექმნეს ევროპაში და ამით მოახერხეს ერთ შემთხვევაში რუსული, ხოლო მეორეში თურქული საინფორმაციო ნაკადის გადაფარვა. ეს არ გააკეთა საქართველოს ხელისუფლებამ.

რაც შეეხება დღევანდელ ხელისუფლებას. კარგად ვიცით, რომ ის პიარის დიდოსტატია და ეს საქართველოს ტერიტორიაზე მეტ-ნაკლებად გასდის, საზღვარგარეთ კი - არა. რასაკვირველია, კარგია, რომ პრეზიდენტი, უმაღლესი ხელისუფლება და სტრასბურგის დეპუტაცია თავისი პირით უყვება ყველაფერს მსოფლიოს, მაგრამ ეს მაინც არაეფექტურია. დღეს საინფორმაციო ომს ნებაყოფლობით კი არ ვაგებთ, არამედ ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ არ ვიცით, როგორ ვაწარმოოთ.

რაც შეეხება ეუთოს დღევანდელ განცხადებას. ხაზგასმით მინდა ვთქვა, რომ თვალნათლივ ჩანს, აქ მომუშავე ოფიცრების 90 პროცენტს არ აქვს სურვილი, კონფლიქტი ამოიწუროს. მათთვის მნიშვნელოვანია, კონფლიქტი ამავე სტადიაში დარჩეს - იყოს დაკონსერვებული, ტყვია არ გავარდეს, რადგან ამით დიდძალი ხელფასი მოაკლდებათ. მათი ხელმძღვანელობა, გარწმუნებთ, ინფორმაციის ნაკლებობას არ უჩივის, მაგრამ მოქმედებენ კონიუნქტურიდან გამომდინარე. ამიტომ მათი განცხადებები უფრო ფორმალური ხასიათისაა.

ლაშა ბუღაძე: საქართველოს ხელისუფლებიდან კი ძირითადად მილიტარისტული პათეტიკა ისმის. რა ხდება, არცოდნაა მიზეზი, თუ სურვილის არქონა?

მამუკა არეშიძე: რატომღაც ხელისუფლებიდან ყველაფრის კეთება დავალებული აქვს პრეზიდენტს და გოგა ხაინდრავას. დანარჩენები მონაწილეობენ შიგადაშიგ. ერთიანი კონცეფცია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სოციალ-ეკონომიკური-პოლიტიკური ასპექტები, მე არ მინახავს. პირველი პრობლემა: არაპროფესიონალიზმი, მეორე - კონკურენტის საბოტაჟი, ვინძლო იმან არ მოაგვაროს პრობლემა, მესამე - მეხუთე კოლონიის მოქმედება, ის საქართველოში ისევ არსებობს, შეიძლება ისე თავხედურად არა, მაგრამ ჩუმად და კონსპირაციულად - კი. ხელისუფლებაშიც ამის სერიოზული მეტასტაზები იგრძნობა.

ლაშა ბუღაძე: გასათვალისწინებელია ერთიც: შეიძლება ევროპისთვის ანაქრონიზმად ჟღერდეს ის, რომ შენ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა გსურს - მით უფრო, იმ ფონზე, როცა ევროპაში ყველაფერი ერთიანდება. იქნებ საქართველოს ხელისუფლება საჭირო ენით არ საუბრობს, თუნდაც ევროპული საზოგადოების წინაშე?

მამუკა არეშიძე: ევროპული საზოგადოებისთვის ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მეორადია. ევროპული საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები ჩუმ-ჩუმად იმასაც გვეუბნებიან, რომ უნდა შევქმნათ ერთიანი, კონფედერაციული სამხრეთ კავკასიის სახელმწიფო, რადგან ევროპისთვის ასე უფრო საინტერესო გავხდებით.

ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის წინა პლანზე წამოწევა ამერიკის ადმინისტრაციაზე უფრო მუშაობს, რადგან ამერიკის ადმინისტრაციას სწორედ ეს უნდა - მისი ინტერესების სფეროში რაც შეიძლება მეტი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ტერიტორია მოექცეს. აფხაზეთი - ამერიკისთვის ძალიან მნიშვნელოვანია სტრატეგიულად. თუ საქართველო აფხაზეთს დაკარგავს, წყალქვეშა ნავების ბაზა, რომელიც შავ ზღვაში რუსეთს არ აქვს ისეთი სიმძლავრის, როგორიც ჰქონდა სევასტოპოლში, გადმოიწევს თურქეთთან ყველაზე ახლოს - ოჩამჩირეში. ის წყალქვეშა ნავების ბაზის განსალაგებლად ერთადერთი ბუნებრივად ყველაზე მოსარგები ადგილია შავი ზღვის მთელ აკვატორიაში უკრაინამდე. ბუნებრივია, ეს ამერიკას არ აწყობს.

და ყველაზე მთავარი, რაც ჩვენმა საზოგადოებამ არ იცის - ოსური და აფხაზური საზოგადოება მთლიანად ორიენტირებულია დამოუკიდებლობაზე. იქ სხვა რამეზე არც ფიქრობენ, ჩვენთან კი არის მხოლოდ სოციალური, თუ სახელმწიფო შეკვეთა ხელისუფლებისადმი და ამით მთავრდება ყველაფერი. ხალხის დიდი ნაწილი ხელისუფლებას მხოლოდ სოციალური პრობლემების მოგვარების და არა ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარების მოთხოვნით აწუხებს. ამიტომ იდეოლოგიური მანქანის ამუშავებაა საჭირო, რათა საზოგადოება კმაყოფილი იყოს სოციალური პირობებით და მთელი ყურადღება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე გადაიტანოს.

ლაშა ბუღაძე: რით განსხვავდებიან აფხაზური და ოსური საზოგადოებები ერთმანეთისგან?

მამუკა არეშიძე: ოსურ საზოგადოებას ისეთივე აქტიურობის გამოჩენაში, როგორსაც აფხაზები ავლენენ, ხელს უშლის გადაჭარბებული ქართული სისხლი და მცირე სივრცე. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ჩრდილოეთ ოსეთისთვის სამხრეთ ოსეთი არის დაბალი დონე, მათი ხელმძღვანელობის მაღალფარდოვანი დეკლარაციების მიუხედავად, იქაური მოსახლეობა სამხრეთ ოსეთში მიმდინარე პროცესების მიმართ დიდ ინტერესს არ იჩენს. გარდა ამისა, ეს არის ღარიბი რეგიონი, კონტრაბანდისტული ტრასის გარდა, იქ დიდად არაფერი მუშაობს. ეს ყველაფერი მას იძულებულს ხდის, აქეთ-იქით იყუროს - ხან ვლადიკავკაზისკენ, ხან გორისკენ.

აფხაზეთში სხვანაირი მდგომარეობაა. იქ არის ბუნებრივი რესურსებიც, არის ტურიზმის თემა, აფხაზეთის დიდ ნაწილში ნათესაური კავშირები ქართველებთან მინიმალურია.

გოგა ხაინდრავა: საუბრობდით კონცეფციაზე, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ ერთიანი კონცეფცია ნამდვილად არსებობს, არის სამოქმედო გეგმაც. არ არსებობს უბრალოდ პოზიციის ერთიანობა.

ის რაც გუშინ მოხდა ცხინვალში, ორმაგად აღმაშფოთებელია. შვიდი თვის წინ რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ცხინვალში მილიტარიზაცია განეხორციელებინა. და რუსეთის სამშვიდობო ბაზაც საბრძოლო პოლიგონად იქცა. 16-დან 60 წლამდე მოსახლეობა შეიარაღებულია. ამ ყველაფრის საფუძველი ერთია: ცხინვალში ხელისუფლება რუსეთიდან გამოგზავნილმა პირებმა აიღეს. რეგიონი პრაქტიკულად რუსეთის დოტაციაზეა და, რაც მთავარია, რეგულარულად და მასიურად ირღვევა საქართველოს საზღვარი. ეს ყველა ფუნდამენტური შეთანხმების დარღვევაა.

ლაშა ბუღაძე: რისი იმედი უნდა ვიქონიოთ?

გოგა ხაინდრავა: ურთიერთობები უნდა აღვადგინოთ. აღვადგენთ ურთიერთობებს და აღდგენილი ურთიერთობა აღგვიდგენს ტერიტორიულ მთლიანობას.

მამუკა არეშიძე: გადამწყვეტია რეგიონალური პოლიტიკაც. ჩრდილოეთ კავკასიის გარეშე პრობლემის მოგვარება გაგვიჭირდება. ეს ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი ნიშანია.

ნინია კაკაბაძის სვეტი

სატრფიალო შიში

"ეჰ, ამ ქვეყანას სტალინი სჭირდება!" - ეს მარადიული ფრაზა ალბათ, ყველას სმენია და რაც ყველაზე სამწუხაროა, გვსმენია სხვადასხვა ტიპის ადამიანებისგან. ამას იტყვის ხელოსანიც, მენაგვეც, პიანისტიც, პროფესორიც და სხვაც. სტალინის, როგორც ძლიერი მუშტის დეფიციტს მრავალი განიცდის. "სხვაგვარად წესრიგს ვერ დაამყარებ," - გვეტყვიან ისინი, როდესაც გაცოცხლებული სტალინის არრდილს მოინატრებენ. სამწუხარო რეალობაა ის, რომ ადამიანს თავად უჩნდება ტირანის მოთხოვნა, რომელიც მას კეთილსინდისიერ მუშაობას თუ არსებობას აიძულებს, საკუთარი თავის იმედი სხვაგვარად არ გააჩნია. ეს ერთი ასპექტია დიქტატორის მოთხოვნისა, მეორე კი ის არის, რომ ადამიანი მეტად თუ ნაკლებად ძალადობისკენ არის მიდრეკილი. ამის დასტური ისიც გახლავთ, რომ კონფლიქტებისა თემაზე მიმდინარე სატელევიზიო გადაცემების დროს, ინტერაქტიული გამოკითხვის თუ შემოსული SMS-ების შედეგად, მაყურებელთა უმრავლესი ნაწილი, მაინც ომის საშუალებით ითხოვს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას. პირველ რიგში იმ ტერიტორიაზე, დაკარგულ ხალხთან შერიგება რომ გვმართებს, ამას მხოლოდ გიჟებად მონათლული პაციფისტები გაიძახიან. მაგრამ, ეს სხვა თემაა. ერთი სიტყვით, ძალადობის, აგრესიის და მათ შორის დიქტატურის მოთხოვნილება ადამიანს, საუბედუროდ, აქვს. ამ ადამიანების ნაწილს ისიც კი ახარებს, რომ ჩვენი ქვეყნის პრეზიდენტი და იოსებ სტალინი ერთსა და იმავე დღეს არიან დაბადებულნი. მაგრამ ეს, დღეისათვის სიმბოლიზმით გატაცებულ იმ ადამიანთა ჯგუფს ხიბლავს, რომელმაც ისიც იცის, რომ პარლამენტის წევრი გიგა ბოკერია და ჰიტლერიც ერთ დღეს დაიბადნენ. რეალურად კი, საბედნიეროდ, ჩვენ ამ სიმბოლურ დამთხვევებზე ჯერ მხოლოდ ვიცინით და ამას სერიოზულად არ ვაკავშირებთ ერთმანეთთან. უფრო საინტერესო იქნება, გავიგოთ - რომელი მათგანია თუნდაც სიმბოლურ კავშირში ნაცისტური გერმანიის პროპაგანდის მინისტრთან, იოზეფ გებელსთან. მგონი თარიღები არ ემთხვევა, მაგრამ "პოლიტიკური ასოციაციები" აშკარად მასთან მეტად მიდის.

დავუბრუნდეთ სტალინს და შიშს, რომელიც დიქტატორული რეჟიმის პირდაპირი ნაყოფია. შიშის შეგრძნება - რომელიც დღევანდელი საქართველოსგან არც ისე შორს დგას. ყოველგვარი დაკვირვების გარეშე, სრულიად შემთხვევით, აუწყობელი სატრანსპორტო მოძრაობის შედეგად, ბოლო დროს ხშირად მიწევს ტაქსით მგზავრობა. ტაქსის მძღოლების კიდევ ერთი მახასიათებელი სწორედ კლიენტთან დიალოგში შესვლაა. დიალოგი კი, რასაკვირველია, ისევ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და ისევ იგრძნობა საკმაოდ უკმაყოფილო ტონი; ბენზინის, პურ-პროდუქტების გაძვირება და ა.შ. მაგრამ უეცრად აღმოვაჩინე, რომ საქართველოში დაბრუნდა ერთი ტერმინი, რომელიც სხვადასხვა კონტექსტში ტრიალებს: "რამეს იტყვი და გაგაციმბირებენ", "ეგ იმის ღირსია გააციმბირო", "ვინც გასაციმბირებელია ის თბილად ზის...". ჩემ მიერ ციტირებული წინადადებები მე არ მომიფიქრებია, ისინი მართლაც მოვისმინე და სადღაც მესამე ჯერზე დავაფიქსირე, რომ 30-იანი წლების ტერმინი ხელმეორედ შემოვიდა ხმარებაში. აქედან გამომდინარე უნდა ვიფიქროთ, რომ ის სატელევიზიო "დაჭერების" პროპაგანდა, რომელიც ხან ასანთის ღერის და ხან სპილოს ქურდს წარმოგვიდგენს, წარმატებულად მოქმედებს მოსახლეობაზე. წარმატება კი იმაში ვლინდება, რომ არ იკლებს კანონდამრღვევთა რიცხვი, არ მსუბუქდება კრიმინოგენული ვითარება, მაგრამ უბრალო ხალხი შეშინებული და "გაციმბირების" მოლოდინშია. ვიდრე ყოველივე ზემოთქმულის მიზეზებზე ვისაუბრებდეთ, კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ნათლად გამოხატავს იმას, რომ არა მხოლოდ უბრალო ხალხია შეშინებული. თბილისის მასშტაბით, და იქ სადაც ტელეკომპანია 202-ის სამაუწყებლო სიგნალი ვრცელდება, საკმაოდ დიდია მაყურებელთა რიცხვი. ეს განსაკუთრებით საღამოს საათებში ხდება, მაგრამ დაუკვირვებელი მაყურებელიც კი შეამჩნევს, რომ სარეკლამო რგოლები მის ეთერში არ ტრიალებს. თუმცა სხვა ტელეკომპანიებთან შედარებით, იქ ფასი გაცილებით დაბალია. მაგალითად, არც ერთი რეკლამა არ ზის გადაცემაში "დებატები 202-ზე". ეს უკანასკნელი ფაქტი კი იმაზე მიგვითითებს, რომ არა მხოლოდ უბრალო მოსახლეობა არის შეშინებული. თუკი მეწარმეები, საკუთარი ნაწარმის რეკლამას ზემოხსენებულ ტელეეთერში განათავსებენ, მათი მომავალი საქმიანობა აშკარა რისკის ქვეშ დადგება.

ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში კანონდამრღვევი ისჯება და ყველას ეშინია კანონის დარღვევის, ვინაიდან მათაც გისოსებს მიღმა ელით ცხოვრების გაგრძელება. კანონდარღვევისადმი შიში სრულფასოვანი სახელმწიფოსთვის უპირველესი მიზანი უნდა იყოს. მგონი აქ საკამათო არაფერია. მაგრამ, რატომ ჩნდება ტერმინი "გაციმბირება" ხელმეორედ?! ვინაიდან, როგორც ადრეული რუსეთის და შემდეგ საბჭოთა კავშირის პერიოდში, ახლაც გაჩნდა უსამართლობის შეგრძნება. აქ ჩვენ კანონის დარღვევასთან არ გვაქვს საქმე. ჩვენ საქმე გვაქვს შიშის დათესვის უაზრო მცდელობასთან, რომელიც არ ვრცელდება ხელისუფლების წარმომადგენლებზე და უმრავლესობისთვის "სიმპათიურ" მოქალაქეებზე. კანონს დღეს არღვევს რიგითი ადამიანიც, ჩინოვნიკიც, სამართალდამცავიც და სასჯელაღმსრულებელიც, მაგრამ ისჯება მხოლოდ რიგითი ადამიანი, ან კი ის, ვინც თვალში არ მოსდის უმრავლესობას და "იოზეფ გებელსს".

როგორც ეტყობა, მას შემდეგ, რაც ახალი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ვარდნა დაიწყო, შიშის დათესვის პროპაგანდა ერთ-ერთ იარაღად იქცა. ამიტომ ვაჩვენებთ ტელევიზიით, როგორ უმკლავდება "კეთილშობილი" ჩინოვნიკი არაკეთილსინდისიერ დამნაშავეს, როგორ ემუქრება ტელეეთერით მომავალ დამნაშავეებს და როგორ ვამწყვდევთ ციხეში ყველას, ვინც კანონს დაარღვევს (და ვინც არ დაარღვევს). მაგრამ საბედნიეროდ, ხალხი არც ისეთი უჭკუოა, როგორც ამას დღეს ქართული მთავრობა ხედავს. საქართველო პატარა ქვეყანაა, სადაც ტელევიზიის გარეშეა შესაძლებელი, დავინახოთ და გავიგოთ ჩინოვნიკების იმ მაქინაციების შესახებ, რომელსაც წარმატებულად ახორციელებენ და შემდეგ პასუხს მათ ამისათვის არავინ სთხოვს. დღევანდელი ხელისუფლება დამნაშავე კოლეგებთან ერთად დღეს ახალ ასფალტთან, ახალ ავტობუსებთან და ახლად შეღებილ სახლებთან ერთად შიშის ისტერიას თესავს საზოგადოებაში. ალბერ კამიუმ კი მათ დიდი ხნის წინათ უთხრა - "არაფერი გამოიყურება იმაზე საცოდავად, ვიდრე შიშზე დამყარებული პატივისცემა და წარმატება", რომელიც, ალბათ, პირველ რიგში, ძალაუფლების დაკარგვის შიშით არის გამოწვეული.

სამოქალაქო მონაწილეობის კვირეული
26 - 30 სექტემბერი, საქართველო

Civitas GEORGICA

ქვეყანაში ბოლო წლების პოლიტიკური მოვლენების ფონზე, მეტად თვალსაჩინო გახდა მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელობა. "ვარდების რევოლუციის" შედეგად, საზოგადოების ფართომაშტაბიანი მხარდაჭერით ხელისუფლებაში მოსულ მთავრობას მოსახლეობის არაერთი მოლოდინი უკავშირდება. რევოლუციაში მიღებული დიდი წვლილის შემდგომ, კარდინალური ცვლილებების მოლოდინში, ხალხი საზოგადოებრივად პასიური გახდა. არსებობს იმის საფრთხე, რომ საქართველოში კიდევ დიდხანს ვერ დამკვიდრდება მოქალაქეობრივი ფსიქოლოგია, რაც შეაფერხებს ქვეყანაში დემოკრატიის განვითარებას. ერთეულ მოქალაქეთა მონაწილეობის შემთხვევები ამინდს ვერ შექმნის. არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე ისევ დგას სერიოზული ამოცანა - მოსახლეობის სამოქალაქო ჩართულობის გამოწვევა/სტიმულირება.

2005 წლის მაისში, ბელგრადში, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მოქალაქეთა ქსელის (CEE CN) მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე, აშშ-ს დელეგაციამ და არასამთავრობო ორგანიზაციებმა 16 ევროპული ქვეყნიდან იმსჯელეს მოქალაქეთა მონაწილეობის სტიმულირებასა და მონაწილეობითი გადაწყვეტილების მიღების მნიშვნელობაზე. კონფერენციის წევრებმა სექტემბრის ბოლო კვირა გამოაცხადეს მოქალაქეთა მონაწილეობის კვირეულად, შეიმუშავეს საერთო ლოგო და სლოგანი ამ ღონისძიებისათვის. მათ ასევე დადეს პირობა, რომ ერთიანი ძალებით იმუშავებენ საერთო ევროპული პრაქტიკის დასამკვიდრებლად - სექტემბრის ბოლო კვირა უნდა აღინიშნოს კალენდრებში, როგორც მოქალაქეთა მონაწილეობის კვირა.

საქართველოში ამ ინიციატივას მხარს უჭერს და კოორდინაციას უკეთებს საერთაშორისო ასოციაცია "კივიტას გეორგიკა" და მისი პარტნიორი ორგანიზაციები საქართველოს რეგიონებში.

გთხოვთ შემოგვიერდეთ და მიიღოთ მონაწილეობა სამოქალაქო მონაწილეობის კვირეულში სხვადასხვა ღონისძიების განხორციელების გზით.

OSCE სამოქალაქო მონაწილეობის კვირეულის ჩატარებას საქართველოში ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ეუთოს მისია.

განცხადება

2005 წლის 26 სექტემბრიდან 15 ოქტომბრამდე "საქწიგნის" ადმინისტრაციული შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე (მარჯანიშვილის ქ. N9) ჩატარდება სასკოლო სახელმძღვანელოების, მხატვრული ლიტერატურისა და საკანცელარიო ნივთების ბაზრობა.

ბაზრობაზე მოწვეულნი იქნებიან მწერლები, პოეტები, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები. ბაზრობაზე წიგნები გაიყიდება მწერლებისა და პოეტების ავტოგრაფებით.

ბაზრობა საზეიმოდ გაიხსნება 26 სექტემბერს 15 საათზე, მარჯანიშვილის ქ. N9-ში.

"საქწიგნი"

ფეხბურთი

პობორსკი გუნდიდან დაითხოვეს

ჩეხი ნახევარმცველი კარელ პობორსკი "სპარტას" შემადგენლობიდან დაითხოვეს.სააგენტო Reuters-ის ცნობით სწორედ ასეთი რეაქცია ჰქონდა კლუბის ხელმძღვანელობას, როცა ფეხბურთელს კონფლიქტი მოუვიდა გუნდის მთავარ მწვრთნელ იაროსლავ გუჟბიკთან.

"სპარტას" გუნდის ხელმძღვანელმა დანიელ კრეტინსკიმ განაცხადა, რომ პობორსკი გუნდთან ერთად აღარ ივარჯიშებს. მას შეუძია დამოუკიდებლად მოემზადოს ჩეხეთის ნაკრების შეხვედრებისთვის. ადრე იუწყებოდნენ, რომ "მანჩესტერ იუნაიტედისა" და "ბენფიკას" ყოფილმა ფეხბურთელმა "სპარტას" კაპიტნის სამკლაურზე უარი განაცხადა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის - აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლებისათვის 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი კურსების ორგანიზების უფლების მოსაპოვებლად.

უმაღლესმა საგანამნათლებლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ აბიტურიენტები შესაბამისი სასწავლო გარემოთი, მაღალკვალიფიციური პედაგოგებით, შესაბამისი სასწავლო გეგმებით, რომლის განხორციელების შედეგად აბიტურიენტები შეძლებენ ცოდნის დონის ამაღლებას და საჭირო უნარების განვითარებას, ერთიანი ეროვნული გამოცდების წარმატებით დასაძლევად.

სწავლა უნდა განხორციელდეს 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ შედგენილი პროგრამით.

აბიტურიენტებს საშუალება უნდა მიეცეთ შეისწავლონ საგამოცდო პროგრამა იმ დისციპლინებში, რომელთა ჩაბარებაც საჭირო იქნება მათთვის სასურველი სპეციალობით უმაღლესი განათლების მისაღებად.

ეს დისციპლინებია:

1. ქართული ენა და ლიტერატურა
2. უცხო ენა:

ა) ინგლისური ბ) გერმანული
გ) ფრანგული დ) რუსული

3. ზოგადი უნარები (აბიტურიენტთა ენობრივი კომპეტენციის შესაბამისად, ქართულ ან რუსულ ენაზე).
4. მათემატიკა (ქართულ ან რუსულ ენაზე).
5. საქართველოს ისტორია - საზოგადოებრივი მეცნიერებანი (ქართულ ან რუსულ ენაზე).
6. საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი (ქართულ ან რუსულ ენაზე).

საჯარო სამართლის იურიდიული პირები - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, რომლებიც განაცხადს გააკეთებენ 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელი ჯგუფების გასახსნელად, მზად უნდა იყვნენ, მაქსიმალურად შეუსაბამონ სასწავლო პროცესი კონტინგენტის მოთხოვნასა და საჭიროებებს.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში დასაქმებული ან, საჭიროებისამებრ, მოწვეული პედაგოგიური კადრების მოწვევითა და სასწავლო პირობების უზრუნველყოფით, უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა მაღალი ხარისხის მომზადების შესაძლებლობა უნდა მისცენ აბიტურიენტებს, რათა მათ წარმატებით დაძლიონ 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდები.

უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა დაადასტურონ მზადყოფნა, რომ 2005 წლის 1 ნოემბრიდან 2006 წლის ივნისის ჩათვლით აწარმოონ სასწავლო პროცესი მოსამზადებელ კურსებზე.

მოსამზადებელ კურსებში მონაწილე აბიტურიენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან სახელმწიფო ვაუჩერით 500 ლარის ოდენობით, რომელიც 100%-ით ფარავს მათ მომზადებას, თანხას პირდაპირი გადარიცხვის წესით მიიღებს კონკურსით შერჩეული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

2005-2006 წელს მოსამზადებელ კურსებზე სახელმწიფოს დაფინანსებით სწავლის შესაძლებლობა მიეცემა სულ 200 აბიტურიენტს.

განაცხადების შემოტანა წარმოებს
2005 წლის 20 ოქტომბრამდე.
მის: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
უზნაძის ქ.N 52. ოთახი 119.
საკონტაქტო პირი: მანანა დათუაშვილი. ტელ: 95 99 12; 95 88 86.

პუიოლი "ბარსაში" 2010 წლამდე

"ბარსელონას" კაპიტანმა კარლეს პუიოლმა კატალონიურ კლუბთან ხელშეკრულებაა გააგრძელა 2010 წლამდე. "როიტერის" ცნობით, ესპანეთის ნაკრებისა და "ბარსას" 27 წლის მოთამაშის კატალონიელებთან ამჟამინდელი ხელშეკრულების ვადა იწურებოდა 2007 წელს.

"ბიტბურგერი" "ბავარიის" დამმარცხებელს ლუდის ზღვას ჰვირდება

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, გერმანული ლუდსახარში კომპანია "ბიტბურგერი" პირობას დებს, რომ 10 ათასი ლიტრ ლუდით დააჯილდოვებს იმ გუნდის გულშემატკივრებს, რომელიც პირველი შეძლებს "ბავარიის" დამარცხებას. "ბიტბურგერის" შესაბამისი შეთავაზების მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ "ბავარიელებს" ამ სეზონში მარცხი არ უგემიათ, ხოლო წაუგებელი მატჩების სერია, რომელიც გასული სეზონიდან დღემდე გრძელდება 15-ს შეადგენს. დანარჩენ კლუბთა გულშემატკივრები ახლა იმასაც შიშობენ, რომ "ბავარია" წაუგებლად დაასრულებს სეზონს.

"ჩვენც და გულშემატკივრებსაც გვსურს, რომ სეზონი უფრო ამაღელვებელი და დაძაბული იყოს. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი აქცია აიძულებს გულშემატკივრებს, უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი საკუთარ გუნდებს. ჩვენ არაფერი გვაქვს "ბავარიის" საწინააღმდეგო, თუმცა გართობაც არავის აწყენდა", - აქციის დედააზრს გვამცნობს "ბიტბურგერის" პრესატაშე დიტმარ ჰენლე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო აცხადებს კონკურსს 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის მოსამზადებელ კურსებზე. კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ შემდეგი კატეგორიის აბიტურიენტებს:

1. კონფლიქტის ზონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები - აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, ცხინვალის რეგიონში, ჯავის რაიონში.
2. ეროვნულ უმცირესობათა კომპაქტურად განსახლების რეგიონებში ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელი საქართველოს მოქალაქეები - აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს არაქართულენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამცხე-ჯავახეთის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში.
3. მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეები - აბიტურიენტები, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში: მესტია, ლენტეხი, ონი, ქედა, ხულო, შუახევი, ყაზბეგი, დუშეთი (ბარისახოს, შატილისა და ქვეშეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები), ადიგენი, ახალქალაქი, ნინოწმინდა, წალკა, დმანისი, ახმეტა (პანკისის ხეობა, ზემო და ქვემო ალვანი).
4. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილები.
5. კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლები.
6. ქართული ეთნიკური წარმოშობის უცხო ქვეყნის მოქალაქეები.

აბიტურიენტები უზრუნველყოფილნი იქნებიან უფასო საგანმანათლებლო კურსებით და მიიღებენ ყოველთვიურ სტიპენდიას 50 ლარის ოდენობით.

სასწავლო პროცესი წარიმართება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ 2006 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის განსაზღვრული პროგრამით.

პროგრამის წარმატებით დაძლევის შემთხვევაში აბიტურიენტებს შეეძლებათ ღირსეული კონკურენცია გაუწიონ თავიანთ თანატოლებს 2006 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებზე.

განაცხადების შემოტანა წარმოებს
2005 წლის 20 ოტომბრამდე.
მის: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.
უზნაძის ქ.N 52. ოთახი 119.
საკონტაქტო პირი: მანანა დათუაშვილი. ტელ: 95 99 12; 95 88 86.

კრივი

კლიჩკო-უმცროსს აუტსაიდერად რაცხავენ

კრივის მსოფლიო ორგანიზაციის (WBO) ყოფილი ჩემპიონი მძიმეწონოსანი ვლადიმირ კლიჩკო აცხადებს, რომ მისი მეტოქე სემიუელ პიტერი და პიტერისვე გუნდი შაბათის ორთაბრძოლისთვის უკრაინელის შესაძლებლობებს არასწორად აფასებენ - ტყუილად გგონივართ აუტსაიდერიო.

"მათ ავიწყდებათ, რომ ჩატარებული მაქვს ორმოცზე მეტი ორთაბრძოლა. შაბათს იმის დამტკიცებას ვაპირებ, რომ უკეთესი მოკრივე ვარ და რომ კარგადაც ვიბრძოლებ. ამ ბრძოლისთვის მოსამზადებლად ძალ-ღონე არ დამიშურევია. პიტერი ნოკაუტს იგემებს. არა მგონია, ორთაბრძოლას ყველა რაუნდი დასჭირდეს. ვილაც დანოკაუტდება და ეს იქნება პიტერი".

გარდა ამისა, ვლადიმირ კლიჩკომ ისიც აღნიშნა, რომ მან და მისმა გუნდმა შეიმუშავა ბრძოლის რამდენიმე გეგმა თუ, რა თქმა უნდა, პიტერი საკუთარ სტილს შეცვლისო და იქვე პირობაც დადო: "გულშემატკივრებს ვაჩვენებ, რომ კარგი მოკრივე ვარ. შაბათს პიტერს მოვუგებ და ყველას ვაჩვენებ, რომ ის ეჭვები, რომლებიც ჩემ მიმართ აქვთ ზოგიერთებს, სინამდვილეს არ შეეფერება".

ფუკუოკა 2016 ან 2020 წლებისთვის საოლიმპიადოდ ემზადება

იაპონიის ქალაქ ფუკუოკას მერის ჰიროტარო იამაკასის განცხადებით, ქალაქის მუნიციპალიტეტის საბჭო განიხილავს 2016 ან 2020 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობისთვის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში განცხადების შეტანის ალბათობას.

"ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ფუკუოკას უკვე აქვს მსხვილი საერთაშორისო ასპარეზობების მასპინძლობის გამოცდილება: 1996 წელს კიუსიუს კუნძულზე მდებარე ქალაქმა უმასპინძლა უნივერსიადას, ხოლო 2001 წელს საწყლოსნო სახეობათა მსოფლიოს ჩემპიონატს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

2005-2006 სასწავლო წელს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სწავლის ნახალისების მიზნით, "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 52-ე მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე დამტკიცდა "უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ხელშეწყობის სპეციალური სახელმწიფო პროგრამა" (საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 26 ივლისის N374 ბრძანება) და 2005-2006 სასწავლო წლისთვის გამოიყო 80 სახელმწიფო სასწავლო გრანტი ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხული უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელთაც გამოცდების შედეგების საფუძველზე ვერ მოიპოვეს სახელმწიფო სასწავლო გრანტი; იმ ქვეყნების მოქალაქეებისათვის, სადაც საქართველოს მოქალაქეებს უფლება აქვთ იმ ქვეყნის სახელმწიფო დაფინანსებით მიიღონ უმაღლესი განათლება, აგრეთვე იმ ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომელთა წინაშე საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით ან შეთანხმებით აღებული აქვს შესაბამისი სპეციალური ვალდებულება.

სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოპოვების შესახებ უცხო ქვეყნის მოქალაქეები საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიმართავენ არა უგვიანეს 26 სექტემბრისა, განცხადებას თან უნდა დაერთოს პირის უცხო ქვეყნის მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აგრეთვე ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის სერტიფიკატის ასლი, სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.

2. კონფლიქტის ზონებში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის, მაღალმთიან და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონებში მცხოვრები მოქალაქეებისათვის, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულთა შვილებისა და კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლებისათვის, საქართველოს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლების მიღების ხელშეწყობის მიზნით "უმაღლესი განათლების შესახებ" კანონის მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის "გ" ქვეპუნქტის, 52-ე მუხლის მე-8 პუნქტის, "საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 46-ე მუხლის შესაბამისად 2005-2006 სასწავლო წელს გამოიყო 250 სახელმწიფო სასწავლო გრანტი 2005 წლის 25 აგვისტოს N147 საქართველოს მთავრობის დადგენილების საფუძველზე ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგად ჩარიცხულ სტუდენტთა უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის ან ერთსაფეხურიანი განათლების დაფინანსებისათვის, მათ შორის

- 90 სახელმწიფო სასწავლო გრანტი - საქართველოს მოქალაქეებს, რომლების ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს მაღალმთიანი და ეკოლოგიური მიგრაციის რეგიონების საგანმანათლებლო დაწესებულებებში (მესტიის რაიონი, ლენტეხის რაიონი, ონის რაიონი, ქედის რაიონი, ხულოს რაიონი, შუახევის რაიონი, ყაზბეგის რაიონი, დუშეთის რაიონის ბარისახოს, შატილისა და ქვეშეთის საგანმანათლებლო დაწესებულებები, ადიგენის რაიონი, ახალქალაქის რაიონი, ნინოწმინდის რაიონი, წალკის რაიონი, დმანისის რაიონი, ახმეტის რაიონის პანკისის ხეობისა და ზემო და ქვემო ალვანის საგანმანათლებლო დაწესებულებები).
- 90 სახელმწიფო სასწავლო გრანტი -პირებს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს კონფლიქტის ზონებში (აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა, ცხინვალის რეგიონი, ჯავის რაიონი).
- 20 სახელმწიფო სასწავლო გრანტი -პირებს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს აზერბაიჯანულენოვან საგანმანათლებლო **დაწესებულებებში**, მათ შორის 5 გრანტი თბილისში.
- 20 სახელმწიფო სასწავლო გრანტი -პირებს, რომლებიც ბოლო სამი წლის განმავლობაში სწავლობდნენ და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღეს სომხურენოვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში, მათ შორის 5 გრანტი თბილისში.
- 20 სახელმწიფო სასწავლო გრანტი - საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა და უგზო-უკვლოდ დაკარგულთა შვილებს.
- 10 სახელმწიფო სასწავლო გრანტი - კომუნისტური რეჟიმის დროს საქართველოდან დეპორტირებული სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის შთამომავლებს.

სოციალური პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო სასწავლო გრანტის მოთხოვნით პირი მიმართავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არა უგვიანეს 26 სექტემბრისა. განცხადებაში მითითებული უნდა იქნეს რომელი კატეგორიის მოქალაქეს მიეკუთვნება პირი. განცხადებას თან უნდა დაერთოს კატეგორიის შესაბამისი დოკუმენტაცია:

ა) პირადობის მოწმობის ასლი,
ბ) ერთიანი ეროვნული გამოცდის გავლის სერტიფიკატის ასლი,
გ) ატესტატი და ცნობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებიდან ბოლო 3 წლის განმავლობაში სწავლის შესახებ,
დ) დაბადების მოწმობის ასლი,
ე) ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში მშობლის მონაწილეობის მოწმობის ასლი,
ვ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვეტერანთა საქმეების დეპარტამენტის მიერ გაცემული ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლებში დაღუპულის ოჯახის წევრის მოწმობა ან ცნობა შესაბამისი საიდენტიფიკაციო კოდით,
ზ) მშობლის გარდაცვალების მოწმობის ასლი ან სასამართლოს გადაწყვეტილების ასლი მშობლის უგზო-უკვლოდ დაკარგულად აღიარების შესახებ,
თ) დაჯილდოების დამატებითი საბუთები - ასეთის არსებობის შემთხვევაში.
ი) შთამომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტების, მათ შორის დაბადების მოწმობის ასლები,
კ) ცნობა დეპორტირების შესახებ,
ლ) ცნობა დეპორტაციამდე სამცხე-ჯავახეთში ცხოვრების შესახებ.

დაინტერესებულმა პირებმა საჭირო საბუთები უნდა წარმოადგინონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში (უზნაძის 52), ოთახი 225

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: 95 99 12

"მის-საქართველო 2005-ის" კონკურსანტები

კონკურსი გაიმართება ბათუმში 1 ოქტომბერს

ლიზი კარტოზია N 22
ასაკი: 19 წლის
სიმაღლე: 171 სმ.
პარამეტრები: 86-60-89

- ჯერჯერობით აბიტურიენტი ვარ. ვაპირებ, ჩავაბარო თეატრალურში, სამსახიობო ფაკულტეტზე. პირველად ვმონაწილეობ ამ კონკურსში.

- ოჯახში საქმიანი ხარ?

- აი, ხომ ხედავთ, ახლაც ვალაგებდი... როცა დრო მაქვს ყველანაირად ვცდილობ, სახლი მოწესრიგებული მქონდეს. სადილის კეთება ძალიან მიყვარს, სულ მე ვაკეთებ სახლში.

- ყველაზე კარგად რომელი კერძი გამოგდის?

- ტოლმას ვაკეთებ ძალიან გემრიელს.

- ოჯახის შექმნას აპირებ?

- უი, ჯერ არა, გეგმები მაქვს. ვფიქრობ, რომ ჩემთვის ადრეა ამაზე ფიქრი და არც სურვილი მაქვს. მინდა, ჯერ გარკვეულ წარმატებას მივაღწიო საქმიანობაში. დღეს თუ რაღაცას არ წარმოადგენ, ისე გათხოვდე და სახლში დაჯდე, სისულელეა - მე ასე მიმაჩნია.

- ყველაზე ხშირად ვისთან კამათობ?

- ყველაზე ნაკლებად ოჯახის წევრებთან. უფრო მეტად - ამაყ ხალხთან; ისეთებთან, სიამაყით რომ გაწუხებენ.

- "მის საქართველოს" შესარჩევ კონკურსში ყველაზე მეტად რა მოგწონს?

- ერთად ყოფნა, გართობა.

- როდესაც კონკურსში მონაწილეობა გადაწყვიტე, ვინმეს რჩევა ჰკითხე?

- საკუთარ თავს.

- ე.ი. დამოუკიდებელი ხარ.

- რამდენად გამომდის არ ვიცი, მაგრამ ვცდილობ, ვიყო დამოუკიდებელი.

ეთუნა სამადაშვილი N 32
ასაკი: 17 წლის
სიმაღლე: 171 სმ.
პარამეტრები: 83-62-85

- ვსწავლობ პოლიტექნიკურ უნივერსიტეტში. ვარ მომავალი დიზაინერი. ვკერავ, ვქარგავ.

- დიდი ხანია?

- პატარაობიდან ვკერავ.

- ვის უკერავ ყველაზე ხშირად?

- საკუთარ თავს. თავიდან თოჯინებისთვის ვკერავდი, შემდეგ გადავედი საკუთარ თავზე. ზოგჯერ დაქალებსაც აცვიათ ჩემი შეკერილები.

- რისი კეთება გეზარება ყველაზე მეტად, მაგრამ მაინც გიწევს?

- ისეთი არაფერია. თუმცა, რეცხვა არ მიყვარს.

- ბუნებით ზარმაცი ხარ?

- არა.

- მარტოობა გიყვარს?

- არა.

- სად ისვენებ ხოლმე?

- უფრო ზღვაზე ვისვენებ.

- დიდი ხანია, მოდელობ?

- არა, ერთი წელიწადია. აქამდე არც სილამაზის კონკურსებში მიმიღია მონაწილეობა. სატელევიზიო რეკლამა რომ ვნახე, მომინდა, ბედი მეცადა.

მედეა მექვაბიშვილი N 19
ასაკი: 18 წლის
სიმაღლე: 175 სმ
პარამეტრები: 83-61-87

- ვსწავლობ პოლიტიკურ აკადემიაში. ჩემი სპეციალობაა თარჯიმან-რეფერანტი. ვეუფლები ინგლისურსა და სპარსულს. ყოველთვის მაინტერესებდა მოდელობა, მაგრამ არასდროს წარმომედგინა სილამაზის კონკურსში მონაწილეობის მიღება. წელს ვმონაწილეობდი ოზურგეთში გამართულ კონკურსზე და გავხდი "მის გურია 2005". ამის შემდეგ მოვედი "მის საქართველოს" კასტინგზე.

- სპარსულის შესწავლა რატომ გადაწყვიტე?

- მე არ გადამიწყვეტია, სპარსული მეორადი ენაა და, სხვათა შორის, ძალიან დამაინტერესა. დიდი სურვილი მაქვს, რომ უფრო ღრმად შევისწავლო. ჩვენს სასწავლებელში ერთთვიანი გაცვლითი პროგრამაა და ვფიქრობ, ძალიან საინტერესო იქნება, თუკი წავალ.

- მოდელობაზე შენც ბავშვობიდან ფიქრობ?

- არა. შვიდი წელიწადია ვცეკვავ. ჯერ ხალხურს ვცეკვავდი, შემდეგ - ლათინო-ამერიკულს; წელს კი გადავწყვიტე მოდელობაშიც მეცადა ბედი. ვფიქრობ, ჩემთვის ცხოვრებაში პირველ ადგილზე მაინც სპეციალობა იქნება. ისე, მოდელობასაც სერიოზულად ვეკიდები. ვნახოთ, თუ გამოვიდა.

- მოგწონს საქმიანი ქალის რეჟიმი?

- კი, რადგან არ შემიძლია ერთ ადგილას გაჩერება. მიყვარს, როდესაც ყოველი საათი დაგეგმილი მაქვს. ენერგიული ვარ.

- დაღლილი როცა ხარ, ენერგიის აღდგენაში რა გეხმარება ყველაზე მეტად?

- ნახევარი საათით ვისვენებ სახლში, ვუსმენ მუსიკას და შემდეგ საქმეს შევუდგები. ძირითადად ვუსმენ ჯაზს, ისე კი, ხასიათს გააჩნია.

- კონკურსზე თავგადასავლებისთვის მოხვედი?

- ყოველ შემთხვევაში, გამარჯვებისთვის ნაკლებად. უფრო მეტად აქაური სიტუაცია მაინტერესებდა. აზარტულიც არის და საინტერესოა, რა შედეგებით დასრულდება.

- ბევრი მეგობარი შეიძინე აქ?

- რა თქმა უნდა, ისევე როგორც ბევრმა კონკურსანტმა.





ხმა მიეცით თქვენს რჩეულს და აირჩიეთ
"ტელემაყურებლის სიმპათია":
SMS მაგთი 1060
SMS ჯეოსელი 1040
ეწვიეთ ჩვენს საიტს
www.missgeorgia.ge
და გამოავლინეთ
"მის-ფოტოგენურობა"